345/2
1903

№ XIII

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

მარტი 1903

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

		გვ.
I	ცხენოსანი იგავი — ალ. მირიანაშვილისა	3
II	ორი ეაშლის ხე ფრანგულიდან — ტასოსი	4
III	წყალი მოეპარეთ სოსანას ნამბობი — თ. რაზიკაშვილისა.	5
IV	მურია ლექსი — დ. თომაშვილისა	13
V	ინგლისის მეფე სკოლაში რუსულიდან — მდგ. ბეს. კაშაქისი.	19
VI	როგორ მიმდინარეობს ქვეყნათ ცხოერება (გაგრძელება) — კოტე ედიოზაშვილისა.	21
VII	ძვირფასი რვეული ჩარნანდ ლაეარიისა (თარგმანი) - ს. ტ-ციშვილისა	28
VIII	თამარ მეფე — დ. კარიჭაშვილისა	36
IX	დედამიწის ისტორია — ი. გომართელისა	52
X	ძველი ისტორია ერნესტ ლაეისისა. ისრაელები (თარგმანი — ნ. შენგელიისა.	58
XI	წერილმანი: ხეესურული ანდაზები, გამოცანა, აკროსტიხი, შარადა და ახსნა	62

თანხმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო „სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

ოზარდ, მწვანე ჯეჯილო,
დაბუდდი, გაზდი ენანო!..
ი. ბ.

№ III

ფელიფადი მეთოთხმეტე

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა, № 41 | Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1903

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Февраля 1903 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენოსანი.

ოგაეი

აპალნე აკიდებულ ცხენზე კაცი იჯდა და შორის გზით მოდიოდა. საბრალო ცხენი ტვირთისაგან და შორის მანძილისაგან ისე შეწუხებულიყო, რომ ნაბიჯის გადადგმა უჭირდებოდა. ზედმეტადომმა ჰატრონმა ცხენს უდიერათ ცემა დაუწყო, მაგრამ იგი მაინც გარქარებას ვერ ასრულებდა.

— შე ასეთო, შე ისეთო, — გაბრაზებით აგინებდა ცხენს, — დამივარდი, ლამის დამემ მისწროს და ბინაზე ვერ მიკიდე, მათრახი ზედ დაგაწყვეტე და ცემითაც ვერას გაგხდი; მითხარ, ახლა რა გიყო, რა მოგისერსოვო!?

— არაფერი, — გულ-დაწყვეტით მიუგო ცხენმა, — შენ ბრს ჩამოხტი, წინ გამ. ბეღ, საპალნე შემომსუბუქება, სიარული გამიადვილდება და ბინაზე ადრე მივალთო.

ალ. მირიანაშვილი.

1939 г.
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ვაშლის ხე.

ერთ უძაწვილს უყვარდა თავის ნებაზე სიარული და შუდაე ჩიოდა: თავს მაბეზრებენ ამოდენა წვრთვნით და სწავლითო.

ერთ დღეს მამამ წაიყვანა ის მახლობელ ტყეში და უ-ვენა ტყის მაჯალო ვაშლი, რომლის ნაყოფი ისეთი მკვახე და ეწვანე იყო, რომ ჭირში არ ჩაიდებოდა.

უძაწვილმა იკითხა: რატომ ამ ვაშლ.ს ხეს ისეთივე დიდრონი და კაი ვაშლები არ ასხია, როგორიც ჩვენ ბაღშია.

— ამის მიზეზი, უპასუხა მამამ, — ის არის, რომ ჩვენი ბაღის ვაშლი ნაპყენია, შემუშავებული, მოვლილი, ეს-კი უყურადღებოთ მიტოვებული. თუ შენ არ გაიწვრთნები — ჩა-მორჩები ამსანაგებს და აი ამ მაჯალო ვაშლსავით უვარ-გისი იქნებიო.

ტასო.

(ფრანგულიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუალი მოვიპარეთ

(სოსანას ნაამბობი).

ნკენისთვე მიწურული იყო, ფარცხვა გასურებული, მაგრამ ჯერ ერთი კვალიც არ მოგვერწყო არავისა.

ჩვენებიანთ გიგუცა ადარ მოშეშვა, უნდა წავიდეთ, ხელთუბნელებს ლიასკიდან წუალი გამოჭავთ და მოვპარეთ.

— არა-მეთქი, ვუთხარ, ერთი კვირაა შიგ ისოცებიან, ჯერ სოფლამდე ვერ მიუყვანიათ და ისიც ჩვენ დუხეთ, ღმერთი ადარ გვაქვს? ერთიც ვნახოთ მოგვახწრეს, გაბრაზებულები ხო იცი მოსაკლავათ ადარ დაგვინდობენ, სული აქვთ გაძწარებული.

იმან თავისი არ დაიშალა, ადარ მომეშვა. «თითო დღისაც რო მოვრწყოთ, ჩვენთვის კარგია, ახლანდელი მორწყული ვითომ ორმოში გურია, მოვა და მოვა, წინ არა უდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია-რაო». კაცის გული ხარბია, მერე ჩვენ, გლეხი კაცი, მიწის მონები ვართ, მორწყავ თავის დროზე და მოუვლი — მოგივა, მაძღარი იქნები, არა და მოკვდი შიმშილით. მართალია, რო მოვიპარავთ წყალს, ხო სხვას უნდა დარჩეს მოსარწყავი იმისი სამაგიერო ორი დღისა, რასაც ჩვენ მოვრწყავთ, მაგრამ ის სხვა ხო უფუჭელათ ჩვენსავით იოხსული არ იქნება. ჩვენ იქნება იმ ორი-სამი დღის ხნულის ამარას დავრჩეთ, მაგრამ მდიდარი-კი ორმოცი დღისასაც მორწყავს. იმან სულ დოლზე უნდა დარწყოს და ჩვენ-კი ორი-სამი დღის ხნული ვეაქვს და ისიც, როცა მდიდარს აღარ უნდა წყალი და ვადაც გადასულია, მაშინ უნდა მოვრწყოთ, კაი საქმეა მოვიდეს და არ მოსცდეს. მაშრა ჯანდაბადა ვართ საწყალი ხალხი დარიბები. ჩვენი ეანები რო მომცდარია და მდიდრებისა-კი აღელვებული, განა მართლა ღმერთს უყვარს ისინი და იმიტომ აძლევს, ჩვენ ვძულვართ და გვიცდენს?! არა. ისა, ჩემო ძმაო, რჩეულ მიწასა ხნავს; ვადაზე ფარცხავს, რწყავს, მკის და ჩვენ ნაწყვერლები უნდა მოვხნათ, ისიც ნაოშათ და ღმერთს-კი ვაბრალებთ, არ გვაძლევსო.

აბა, რადა გაეგრძელო, გაბარიეკა იმ ოჯახქორმა. ეუღარაფერი ვუთხარ, გავეეკ, გულში კი ფახანი მაქვს, ქურდი ხო მოგეხსენებათ, შიშარაა.

— უკეთ დაგახეოთო, მითხრა — და სანამ ისინი მოკვასწრებენ, ჩვენ თავს ეუშველითო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბნელი ღამეა. ასალი ფარაჯები გვაცვია, იმ ერთ კვირაში ვიყიდეთ, ოთხ-ოთხი მანეთი მივეცით. რუ ისეთია, ტალდილი მოდის. ჯერ დავათვალ-ერეთ იქაურობა, დავზვერეთ. ხალთუბნელები ძალიან გაეშმაკებული ხალხია, ეჭვი გვაქვს, ვი თუ სახვევებელასთან ვინმე იყოს დამალული. აგრე იციან: ზოგი რო რუს დაჭვევა, სხვები დასახვევებელ ადგილებს დ-რაჯობენ, რო წუალი არავინ დაუხეოს. თუ ფერთი გაგიწურა და მოგასწრეს, რიგიანათ დაგამაკებენ, მუცელს გამოგითქვეფენ და მერე თითივით ტიტველს გაგსვნიან შინ. იქ არავინ იყო.

შემოდგომის ღამეა. სუსხი აქვს. მოწშენდილი ცაა და რთვილის გაგდებასაც აპირობს. მე ვუთხარ, ეს ფარაჯები გაყისადოთ, წინდა-ქალამანსაც ნუ დავისველებთ მეთქი, თორემ ამ ღამეს ხო უფურებ, სიცივე დაგვაფიხვებს-მეთქი.

ეს წინდა-ქალამნები ფარაჯებში შევახვიე და სახვევებელს მოშორებით, რუს ჰირზე კორძი ეამირი იყო და ზედ ნარეცხლა იყო აერილი, იმ ნარეცხლაში ჩავდე. შიში მქონდა, რო მოესწროთ ე ფარაჯები მაინც გადაგვირჩებოდა, ნარეცხლაში ვინ დაუწყებდა მებნასა. დავაკარეთ რუს პარები. გადადის ბელტი-ბელტზე. ცოტა ხანს შემდეგ წალმა ხმა ამოიღო და მადლიდან ბირს დაიწყო ჩქაფა-ჩქუფი.

გამოგვალულ-გამოფიტულმა დედამიწამ, თითქო სული ჩაიდგაო, ხმა ამოიღო, შხიოდა და შიშინი გაჭქონდა. დახეთქილი რუ სარბათ ჭელაპაედა ჰირველათ იერიშის მიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანს ტალღებს. წყალიც თითქო ერთხანათ შედრკა, მაგრამ უკან ხო ვედარ გაბრუნდებოდა, ერთ ნაკადულის ადგილს მეორე იჭერდა, შეორეს მესამე აწვებოდა, მესამეს მეოთხე, მეხუთე და ისე განუწყვეტლათ, ველანი-კი წინ მიისწრაფოდენ და თუმცა დახეთქილ და დაფატრულ მ წაში მრავალი ხვრეთი იკარგებოდა და იღუპებოდა, მაინც ბრძოლის ველ. მოვარდნილს ნაკადულს რჩებოდა. ხოლო ძარ-დასველებული ბალახები და ჰატარა წნი რ-მურენები, რომელნიც ამ რუს ჰირსე მრავალათ იყვენ ამოსულნი და ჯერ საქონელს იმათი მოკვნეტა ვერ მოეწრო, სიამოვნებით იხმორებოდენ და იჭრელებოდენ ტანში.

თქვენ რა იცით, რა არის გლეხ-კაცისა ვის წყალი? ზაფხულში, როცა ჩვენი ვარი და სიმინდი, გვალვისგან მეწუხებული თავს დაჭკიდებს და ფოთოლი ჭნობას დაუწყებს, ჩვენი გულიც იმათთან ჭკნება და როცა იმათ ფოთოლს ცის ნაპი დასველებს და ფესვს წყალი დაალბობს, ვითომ ჩემთვის, მომაკვდავისთვის, უკვდავების წყარო მოეწოდებია.

ისე ვიუკვით ამ საქმეში გართულები, რომ სრულებით ვერ შევნიშნეთ, ერთი ხელთუბნელი, რომელსაც სახელათ ჯილაჯვარს ეძახდენ, თავზე როგორ წამოგვადგა.

— არიქათ, ბიჭებო, მიშველეთო, დაიღრიალა გულგახეთქილმა. ერთი ისეთი შევხტი, ბარი იქვე ხელიდან გამეგარდა. ჩემი ამხანაგი მაშინვე ნაწვერლებისკენ ეცა და მე-კი რუ-რუ დავეშეი. რაკი ამხანაგების ხმა მოესმა, ჯილაჯვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც გული მიეცა და გამოგვეკიდა. ჩემს ამსანაგს თავი დანება და მე მომდევს, თანა ყვირის: მიშველეთო. მე ისეთი ვარ, სული კოჭებში გამეპარა, ან ახლა დამცხებს ბარსა მეთქი და ან ახლა.

კარგა ბნელა. ახლა თვალგატეხილი ვიყავ კიდევ, თორემ რას დავინახავდი, როგორ გზაზე მივრბოდი. ეს იყო რო რუ-რუ გავრბოდი. ვერ შევნიშნე, დამისხლტა ერთ გადასახტომში ფეხი და ერთი ჩახრიალიდან მორევში კი ჩავ-ვორდი. ჯილავდრის ფეხის-ხმა შესწყდა. მე მარტო წყლის ჩქრიალი და ჩახჩახი-და მესმოდა. გუბე კარგა დრმა იყო, ბაგრამ დახრჩობისა-კი შიში არა მქონდა. წამოვიწიე წყლიდან და ცის ტატანზე ჩემს ფეხოთ ბექის თავზე ჯილავდარი დგას და ილანძღება.

— რა ჭქენ, კაცო, ვერ დაიჭირე ეგ ოჯახ დაქცეულები? უყვირიან ამხანაგები. ჯილაკდარი კი გაშეშებული დგას, ჰირჯვარს იწერს და შიშით ხმას ვეღარ იღებს. — ნამდილათ წეეული იყოვო! წაიტუტუნა. აი დასწეევლოს სამას სამოცდა სამმა წმიდა გიორგიმ, რაზე ჩამიტეეილებდა მორევში და სულს საეშმაკოთ გამისდიდა!

მერე გაბრუნდა და თან ჰირჯვარს იწერდა. მართლაც და ბევრით არც მე ვიყავ ეშმაკზე ნაკლები. იხეიოთ წეალში ჟიბანავე; გაწუწული, გაზუნზლული, რის ვაი-ვაგლახით ამოვეოფხდი წეალიდან და ბექის ბირში ამოვჯექ. თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასევარზე ისევ წუალში ვიჯექ, მაგრამ ზედ მაინც ადარ დამდიოდა წუალი.

ეტყობოდა ჯილავდარიც მივიდა ამხანაგებთან, რადგან ჩოჩქოლი შეუდგათ. ჯილავდარი არწუნებდა, კისერში ხელი ვტაცე, უნდა დამეჭირა, გარეჯვრელ სოსანას სახით მეჩვენაო; მაგრამ იმ წეუულმა გამიქნია და ნაფოტივით გადამისროლაო. კიდევ კარგი მორევში არ ჩამითრია, თორემ ნამდვილათ დამახრჩობდაო. ზოგსა სჯეროდა და ძალ-ძალე ღმერთსა და ხატს ასსენებდენ, რო მაგნე ვეღარ მისდგომოდა. ზოგმა-კი გაუტრიზავა და დაცინვა დაუწეეს: — შეშინებულსარ, აქ არ მიმბუსენონო, შვილო და იმიტომ ვერ მიჭბედე, თორემ სად უნდა წაგსლოდენ, ან ახლა აქ წეუულს რა უნდაო!

ისინი იქა ლაზღანდარობენ და მე-კი ადარ მკითხაენ! ასეთი ვარ, კბილს-კბილზე მაცემინებს, საცოდავათ ვთხოვ-თხებ, ლაქის გული ამომვარდეს. ვამბობ, ან ახლა წავალენ, ან ახლა-მეთქი. გაგძელდა ე ოხერი შემოდგომის დაძე! შემცივდა, აბა რადა ვთქვა: ლაქის გამაშეშოს. აბა ხელთუბნელები ამაზე მეტს რას მიზამდენ, მაგრამ კაცის ხელით სიკვდილი სხვაა. არც დამზოგავდენ, ისე იეკენ გაბრაზებულები. რადა გაკაჭიანურო, ბოლოს ღმერთმა მომხედა და წასვლა დაანირეს. ზოგმა თქვა: სუეველანი დაეჭვეთო, ახლა წუალს ადარავინ დაახვეებსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ზოგი აქ დავწვეთ, ზოგი წუალს დავუვეთო, თქვეს სხვებმა.

— აი, ბაბაჩემთან წადით და მოუსავლეთის ქვეყანაშიმეოქი! ვამბობ მე ჩემს გულში. მართლაც ორი ბიჭი სახეკებელაზე გაუშვეს და სხვები რუს დაჭვეენ. ჩემს თავსე გადიგლიდენ და მეტი ღონე არ იეო, ისეე წუალში უნდა ჩავცურებულიეავ, რომ არ დავენახე. თავი-კი ვიჩ..ნე, რო არ დამსკრჩალიეავ. კარგა ხანს ისმოდა იმათი ფრატაფრუტი და ეაეანი. ძლივ ღმერთმა მიშველა. ასეთი ვარ, ასე მგონია მშრალათ ლოგინში ვწეკვარ-მეთქი, ისე გამეხარდა იმათი წასვლა, სიცივე და სისველე სულ დამავიწყდა.

წულიდან როგორც იეო ამოვეოფოზდი, ასეთი ვარ, წურწურით წუალი ჩამომდის, სველ ძაღლის კუდს-და ვგეკვარ. ამოველ მშრალზე, მაგრამ კიდევ სიფთხილე მინდოდა. მეკ ფარაჯების გაპარება მინდოდა, თორემ ფეხდა-ფეს-კი ისინი მე ვერ დამეწეოდენ. უფარაჯოთ დარჩომა და ჩემი სიცივით გაფიჩხება ერთი იქნებოდა. მესმოდა სახეკებელაზე ს დარაჯოთ დარჩენილი ბიჭები რო დაწვნენ, როგორ მოიკუნტენ ფარაჯებშ და კვნესოდენ, ალბათ დაღალულები იეკენ და ცოდათ.

ჩვენი ფარაჯები სწორეთ იმათ ჩამოსწვრივ, ასე ერთი გუთნის გაშლაზე იეო დამალული ნარცეცლაში. მეტი ღონე არ იეო, დავწექ მუცელზე და დავიწეე ცოცვა ამ ნარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლაშ.. ნაგვალი ბალახი და დედამიწაა და ისეთია ეს ნარის ეკალი, როგორც ცეცხლი. ზოგი სასეში მეტაკება, ზოგი მუხლებსა, მუცელსა და ხელებში მერჭობა. ლამის დავიუვირო, ისე მეწვის, მაგრამ ვეელ-ვეელ როგორც იუო, სანამ ფარაჯებთან მივიდოდი. ჩავიცვი წინდა-ქალამანი, ჩავიცვი ფარაჯაც, ერთიც მსარზე გადავიკიდე, — ასეთი მოვუსვი, რომ ბედაურებსედაც რო შემსდარიუვენ, ვეღარ მომეწეოდენ. იმდამეს ისეთი რთველი გაავდო, როგორც თოველი, მეორე დილით ისეკ იდო. შეკსედო ფეხშიშელა გიგუცა ხასავით მოკაკულა და მოაბიჯებს ამ რთველიან ნაწვერლებზე, თან ისეთი იდრიჯებოდა, რო შემეცოდა.

— ოხრათამც კი დარჩენილა სახნავიც და სარწუავიცო! იფურთხებოდა და იგინებოდა. — მე ჩემი დამემართა და ვიდასთვის რაღათ მინდა, თუ-კი მეც ადარ ვიქნებიო.

ადარც წამოსულა სარწუავში. გორს წავიდა, დუქანში დადგა და დღეს ერთ ლუკმა ჰურსა ჭამს...

თ. რაზიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ რ ი ა

მ

ულნაგია, მურია! —
სურს ვითომ იერთგულ ოს,
სკვაგან არც კი გადგამს ფეხს,
მწყესავს სამზარეულოს.
კარებთან წევს ის მუდამ,
მხოლ ოთ თვალს აფაჩურებს
ბ მსუქან ხორცს საწვავზე
მადიანათ შეკყურებს.

როცა მწვადი შუშხუნებს,
ნდომის ნერწყვი ადგას პირა,
დასასრული არა აქვს
მაშინ მურ:ს გასაჭირს...
ხან მიწაზე გაერთხმის,
წამოხტება უცება
და მზარეულს წკმუტტუნით
ემონ-ელაქუცება!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ყერა, ვერ გასჭრა!—
მზარეული ძუნწია,
მურიას ვედრებაზე
პირი დაუმუწია!
სრულებით ხმას არა სცემს,
ან რა საკადრისია?
ძვალი თუ გადაუგდო,
ის მადლობის ღირსია!..
თან დაასაყვედურებს:
„შენზე ე'ეც დიდია! —
გუშინ რომ მთლათ გაგვპარეს,
შენ რა ოხერს სცვიდია?..
ძაღლმა უნდა ერძაღლოს!..
შენ კი ნაცარ-ქექია,
მხოლოდ მე შემომყურებ,
წელი მოგიზნექია!..“
მზარეულის „სიძუნწით“
სულ ჩამოხმა მურია;
მუქთეთ არვინ აჭამა,
შია და ხან სწყურია.
ეტყობა, რომ მურიას
ბედი არა ჰქონია,..
მარა საყასბოებზე
სადღაც გაუგონია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იქ მსუქანი ხორცი
თურმე ბევრი ჭკიდია,
ბევრი ძაღლი ცხოვრობს იქ
და სიმაძღრეც დიდია.
თურმე იქ ცისმარა დღე
ხარ, ძროხა დაიკვლის
და კერძი რომ არ იგდოს,
ისე დღე არ გაივლის!..
მუქთა-ხორა ძაღლები
იქ მსუნები არიან...
წავიდა ჩვენი მურაც
მიდის, მიუხარიან.
გზას ადგია მურია,
გაიარა ქალაქი,
აგერ ყნოსვით იცნო მან
სანატრელი ალაგი.
რას შეხედა! არ სჯერა! —
დაეხრიცა თვალები,
აცახცახდა დიდი ხნის
ნატანჯ-განაწვალები! —
,,აქ ყოფილა სიცოცხლე, —
გულში ფიქრობს მურია —
სად ვიყავი აქამდის
მე დღე-უბედურია?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენ ქონს მივიკრავდი,
აქ რომ ადრე მომეგნო?
მზარეულის სიძუნწეც
რომ აქნამდის შემეგნო!..
თუმც ჩემმა სისულელემ
ძლიერ დამაზიანა,
მარა მადლობა ღმერთსა! —
არც ახლაა გვიანა.---
აქ მალე გავსუქდები,
რამდენი ძვალი ჰურია! —
მუქთად ხრაგენ და ყასაბს
წარბიც არ შეუხრია!..
მართალი თქვეს: —ესენი
მადლიანი ხალხია!..
მხოლოთ მზარეულები
ყველა გასალახია!..''
გაერია მურიაც,
შეემატა ძაღლის ჯოგს;
მხოლოთ კვირობს, ნეტა რა
დამართნია აქ ზოგ-ზოგს? —
ერთს ყური აქვს მოჭრილი,
ზოგს ტუჩი და ზოგს ცხვირი!..
ზოგი მთლათ გატყაულა,
დამართნია მუნ-ჭირი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო უმეტესობას
კუდი არ აბადია!
ეტყობა რომ — ფიქრობს ის —
ავი წელიწადია!.
მხოლოთ ზოგიერთებზე, —
როგორც რომ ეწესება, —
ისე მსუქნათ არიან —
დანა აიღ ესება!..
და ესენი ყასბებთან
დავლენ უფრო თამამათ;
ამბობენ, ნამსახური
უძღოდა ჯერ მამა მათ...
და ყასბებიც უცქერენ
ამათ კაი თვალითა,
გულ-უხვათ მასპინძლობენ
ხორცითა და ძვალითა.
მურიამაც იფიქრა:
შორით რათ ვუთვალოვალო,
ამაებთან ერთათა
მეც იმ ხორცთან მივალო!..
ძვლებზე რათ დავიმტვრიო
მე უბრალოთ კბილიო?
მეც მერგება ნაგლეჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემრიელი, ტკბილია.
წადგა ბიჯი მურიამ,
ცრემლით აევსო თვალი,
როცა ამ დროს ყასაბმა
ჩამოიღო ბარკალი.
„სწორეთ ჩემთვის ფუნდაო!“
ნდომამ ის წაიტყუა,
მაგრამ მოულოდნელათ
მოხვდა მას ცულის ყუა!..
წინა ფეხი მოემსხვრა!
ვერ გაუძლო სიმწარეს,
„ვაი — ვაის“ ძახილით
მყის მოშორდა იმ არეს!..
და მაშინ-კი გაიგო,
რაც ნამდვილი, სწორია —
ფუფურ-ცხვირო, უკუდო
ძაღლების ისტორია.
და დღეს ესეც მათ შორის
ძვლებს დაეძებს და წვალობს,
წინა ფეხი რომ არ აქვს,
საცოდავათ კვანჭალობს!...

დ. თ. ‹მაშეილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის მეფე სკოლაში.

ნგლისის მეფე ედუარდ VII ავიდა თუ არა ტახტზე, ჩვეულებათ შემოიღო სკოლებში და სხვა-და-სხვა დაწესებულებაში სიარული; სხვათა შორის ქალაქ ბერტონში ინახულა სკოლა, სადაც ბავშები გამოსცდა სწავლაში და მერე მიმართა სხვა-და სხვა კითხვებით.

— აბა, ჩემო ბატარა მეგობრებო, მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ შეგიძლიათ დამისახელოთ ჩვენი მეფეების და დედოფლების სახელები», ალერსიანათ უთხრა მეფემ ბავშებს.

ბავშებმა ერთხმათ უპასუხეს: «მეფე ალფრედი და დედოფალი ვიქტორია». ამ დროს წამოდგა ზეზე ერთი ბატარა მოწაფე ვაჟი, რომელსაც მასწავლებელმა რადაცა ჩაბურბურა უურში და აიწია ხელი.

— «შენ შეგიძლია კიდევ დამისახელო ვინმე?» ჰკითხა მეფემ ბატარა მოწაფეს».

— «დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, მე დაგისახელებთ კიდევ მეფე ედუარდ VII-ს».

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეს გაეცინა და ჰკითხა ბავშს:

— «შეგიძლია თუ არა მითხრა ისეთი დიდი საქმე, რომელიც მან გააკეთა და რომლითაც მას შეეძლოს შეადარონ თავისი თავი დიდებულს წინაპარ მეფეებს?»

ბავში ჩაფიქრდა, ჩადუნა თავი, შერცხვა და შეწუხდა, რომ ჰასუხი ვერ მოასერხა.

მეფემ შენიშნა, რომ ბავში შეწუხებულია, გაიღიმა და სიცილით უთხრა:

— «ნუ სწუხარ, ჩემო პატარა მეგობარო, ამ ჟამთ მეც ისეთსავე მდგომარეობაში ვარ, როგორც თითონ შენ; ჩემ მოცემულ კითხვაზე თვით მეც ვერ ვასერხებ ჰასუხს...

მღვ. ბეს. ეაშაძე.

(თარგმანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ მიმდინარეობს ქვეყნათ ცხოვრება.

(მოთხრობა ბ. ნ. ბოგდანოვისა)

(მოხუცი თაგვის ნაამბობი).

ვიყისედ-მოვისედე და რომ ზღარბები ვეღარა ვნახე, განაგრძო დედა თაგვმა, ვაფეერი ბალახსა და ბუჩქებში. ტოტა გაეიარ-გამოვიარე და ისევ გუშინდელ მოცხარეს ბუჩქს წავაწედი. შევსედ და რა ვნახე! დაშლილ-დაგლეჯილი ბულბულის ბუდე ძირს ეგდო. ერთი ბარტეი თავით ტოტსა და ტოტს შუა ჩამოკონწიალებულიეო და დამხჩალიეო. ოცეიოდე ბუხი იმის ზირში, თვალებში და ყურებში მუყაითათ დებდა თეთრ კვერცხებს. მეორე ბარტეი თავ-გასვრეტილი ძირს, ძიწაზე ეგდო; იმის გარშემო ოც-და-ათამდე ჭია-ფანდურა (მესაფლავე ჭია) ფუსფუსებდა, მეკვდარ ბარტეებს საჩქაროთ ქვეშიდან ძიწას აცლიდენ და ისიც თან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და-თან მიწაში ეშვებოდა. ცოტა ხანს შემდეგ იგი უკვე მთლათ მიწაში ჩავარდა. თურმე ქვეშ თხუნელას სორო ეოფილიო. ჭია-ფანდურებმა ახლა ზევიდან მიაყარეს მიწა. ამათ სხვებიც წამოეშველენ და ეველამ ერთათ დაამთავრეს მკვდარი ბარტეის დასაფლავება. ორმოში მეც ჩავედი და ჭია-ფანდურების მუშაობას სეირს ვუყურებდი. დასაფლავებას რომ მორჩენ, ახლა მკვდარი ჩიტის ცხვირში, თვალებში, ეურებში, ერთის სიტეეთ საცა-კი შეიძლებოდა, ბატარა თეთრი კვერცხების ჩაწეობას შეუდგენ. იმ კვერცხებიდან ჭია-ფანდურის მატლები უნდა გამოსულიეეენ, რომლებიც ბარტეის ლეშით გამოიკვებებოდენ, გაიზდებოდენ და შემდეგ ჭია-ფანდურებათ გადიქცეოდენ. ესენიც იბოვნიდენ რომელიმე მკვდარ ცხოველს, დამარხავდენ და კვერცხებს ჩაეწეობდენ.

მომავონდა ამ ბარტეების ბედნიერება, როდესაც მურა ჩიტი ეხიდავდა ჭიაღეებს ტ ბეულბული თავს დამეროდა.

მაგრამ ჭია-ფანდურეებს ამოდენა შრომამ ამათ ჩაეარა. საუბედუროთ, ბარტეი თხუნელას სოროში ჩავარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალე ჰატრონიც გამოჩნდა —თუმცა იგი სქელი, მეტათ უშნო და სულელური სახის ცხოველი იყო, მაგრამ ძარდათ ეცა ჭია-ფანდურებს, თითო-თითოთ იყურდა და კამრიელათ შეექცეოდა. მსხვილი წინა ფეხები ტიტვლები ჭონდა, უკანა ფეხები მოკრუსილი, თვალები კიდევ ერთიბეწვა. ჭიების უმეტესი ნაწილი კუჭში ჩაეშვნა. შემდეგ ხეტის ბარტეს მიუბრუნდა და ჭია-ფანდურების კვერცხებიანთ ძალე ისიც გაათავა.

ამ დროს მე და თხუნელას შუა გაისმა რაღაცა ბრახუნი, თხუნელას სორო ჩამოწვა. მე საჩქაროთ გარეთ გამოვარდი და მებაღეს-კი ფეხებ ქვეშ ჩავუვარდი; აღარც-კი მახსოვს გულ-გახეთქილი როგორ გადავხტი განზე და ბალხებში მივიმალე. ცოტახანს შემდეგ შიშისაგან გონს მოვედი, დავმშვიდდი და ბალახებიდან გამოვისედე; დავინახე რომ თხუნელას სორო რამდენიმე ადგულას ბარით იყო გათხრილი და სწორეთ იქ, საცა ჭიებმა ბარტეი დამარხეს, ბარით მოკლული თხუნელა ეგდო. ბუზები მისხდომოდენ და ტუავზე მიმსმარ სისხლს სწუწნიდენ, ზოგიც ჰირსა და თვალებში კვერცხებსა სდებდა. თხუნელას ქვეშ შევისედე, იქ კიდევ სამი ჭია-ფანდურა გულმოდგინეთ შესდგომოდა თავის საქმეს—თხუნელას დასაოლაეებას.

ეოველივე ნახულმა მწარედ დამადონა. მომაგონდა ის დრო, ბედელში რომ ეცხოვრობდი. იქ თაგვები შიმშილის გამოისობით ერთმანეთს ჭამდენ, ახაც იგივე ეოფილა-მეთქი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიფიქრე გულში. ჭამენ, კბენენ და დევნიან ერთმანეთს ან შიშილის გამოისობით, სანაც ისე, უმისეზოთ.

ბოლოს ბუჩქის თავზე მესკია ჩიტი გალობდა. ამას მიეუბრუნდი და ეკითხე: ბადში კარგი ცხოვრება ვაქვეთქვა?

— რის კარგიო, დამღერა მესკიამ, ეველას ერთმანეთი სძულთ, ერთმანეთს ცარცვამენ, დევნიან, სცემენ და სჭამენ. აგერ, შეხედე, ცაცხვის ტოტზე რომ დიდი, რუხი ფრინველი ზის, რა გატაცებით გასძახის, ეგ ჩვენი ძოსსლე მტერი—გუგული. მებადე ამბობს: გუგული სასარგებლო ფრინველიაო, ჰვეველის ბანჯგვლიან მატლს მაგის მეტი, ვესმის, სხვა ფრინველი არა სჭამსო. ამ ტომაც უეგარს მებადეს გუგული. ჩვენ, ბატარა ჩიტებს-კი ჭირივით გვეჯავრება ეგ მუქთა ხორა. შეხედე ერთი, როგორ ძოსწონს თავისი «გუგუს» ძახილი. მთელი თავისი სიყვარული მშრომელი და ბატიოსანი ფრინველების შრომით უსაზრდოვნია. სახლ-კარი და ოჯახი მაგას არ გაჩნ ა, მაგისთანა უთვისტომო სხვა ფრინველი არ მოიძებნება. ჭამისა და თავისი «გუგუს» ძახილის მეტი სხვა არა იცის-რა. მაგის საძაგელ მეუღლეს, აი იმას, ქმარს რომ ეთამაშება და უსირცხვილოთ ხარხარებს, კვერცხის დადების დრო რომ მოუვა, ნუ გვონია ბუდის გაკეთებაზე, შვილების გამოჩეკა-გამოზრდაზე იზრუნოს, სულაც არა. მუქთა ხორა დაგვიწყებს ჩვენ, ან ბულბულს, მზე-წვიას ან კიდევ სხვა ბატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრინველს ზვერას, იპოვნის ბუდეს და როცა ჰატრონს ბუ-
დიდან გაიგზავნებს, ჩადებს შიგ კვერცხს და გაიპარება.
გულ-დამშვიდებულმა რა იცი, თუ რა მოხდა, ფიქრათაც
არ მოგივა და დაბრუნებისას დავსხდებით კვერცხებზე
გამოსაჩეკათ. აგერ დრო დადგა გამოჩეკისა; კვერცხებიდან
შვილები თითო-თითოთ იჩეკებიან. გახარებულ ნი დავფრი-
ნავთ მთელ დღეს, ვიჭერთ ბუზებს, კალიებს, ჭიებს, მატ-
ლებს და ვუზიდავთ ბარტყებს. ისინი კიდევ სულ ჯამათ
არიან გადაქცეულნი. მივუტანთ თუ ორა საჭმელს ყველანი
ერთათ დაადებენ ყვითელ ჰირებს და საჭმელს თხოულობენ.
იმათში ერთი მუდამ ყველაზე მშიერი და ხარბია.

მახსოვს ერთხელ მე და ჩემი ცოლი საკვების ზიდვას
ვერ ავდიოდით. სხვებს თითო ჭიას ჩავუდებთ ჰირში გაჩუმ-
დებიან, ის ერთი-კი, ყველაზე ხარბი, აღარ ისვენებს, სულ
ჯამათ არის გადაქცეული, სხვებსე მალეც იზრდება.

ბოლოს, შეხედავ, იმოდენა გახდება, რომ ბუდე მარ-
ტო იმას აღარა ჭეოფნის. ერთ მშვენიერ დღეს მივუტანეთ
შვილებს ჭიები, შევხედოთ და ერთი იმათგანი მიწაზე გდია.
იმ ხარბს, გაუმაღარს გადმოეგდო. მეორე დღეს მეორე
გადმოეგდო ბუდიდან. რამდენიმე დღის შემდეგ ბუდეში აღარც
ერთი არ დასტოვა. ბევრი ვიწუხეთ მე და ჩემმა მეუღლემ,
მაგრამ რაღას ვიზამდით; დავუწყეთ კვება ხარბ შვილს. კა-
ისარდა, ორი ჩვენოდენა გახდა, ლამაზი, ქერა, მაკი ხო-
ლებით მორთული ფრთები გამოუვიდა. მაინც გვიხაროდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი შეგვრჩა, მაგრამ კარგი, ვამბობდით ჩვენ გულში. რო-გორც იყო დიდი ვაითა და ვაგლახით გამოვსარდეთ ის ერთი, სამაგიეროთ ჩვენ თვითონ ძალზე დავიღალენით, გაგს-დით, ცარიელა ძვალი და ტყავი-ღა შეგვრჩა.

ერთ მშვენიერ დილას შემოჯდა ჩვენი შვილი ბუდის ნაპირზე, გაისწორა ფრთები და ალვის ხეზე გადაფრინდა. ზის იქ და სულ საკმელსა გვითხოვს. მეტი რა ღონე იყო — ასლა იქ ვუზიდეთ მატლები და სხვა ჭიები. გაიარა კიდევ რამდენიმე დღემ და ერთ დილას როცა გავიღვიძეთ — ადარ-სად იყო ჩვენი შვილი, გაქრა კვალ წმინდათ; ბევრი ვეძე-ბეთ, მთელი ბადი შემოვიფრინეთ, მაგრამ ვეღარსად ვიპოვ-ნეთ. მოლადური-კი შემოიჯდარა ალუბლის ხეზე, უსტ-ვენს, ჩუმ-ჩუმათ იცინის და თან ვეკითხება: «ვის ეძებთ, იცით თქვე სულელებო ვინ გაზარდეთო?»

— ვინა? ვეკითხებით.

— ვინა და გუგულიო; აგერ, წადით დასტებით თქვენი გაზდილის ცქერითო.

გავფრინდით აკაციების ხეებისკენ, საითკენაც მოლა-ღურმა მაგვიჩვენა და მართლაც დავინახეთ ჩვენი ლამაზი შვილი, - იჭერდა ბანჯგვლიან მატლებს და შეექცეოდა. მა-შინ-კი მიხვედით ვინც ცამოვსარდეთ, ვისი გულისთვის და-ღალენ საკუთარი ჩვენი შვილები. იმ დროდან გვძულს გუგული, მაგრამ რას ვუსამთ! ჩვენ სუსტნი და ჰატარეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ, ის-კი დიდი, ღონიერი და თავხედია. მოდი და შეებრძოლე!

რა მადლობას ვეტყოდით იმას, ვინც-კი გასწყვეტავდა ამ ბოროტ მუქთა-ხორას და იმათ ჯავრს ამოგვერიდა.

ასე შეიკრიბენ მესიამ. ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, უცბათ ისრივით გამოიქროლა ქორმა, ჩაუწირა კლანკები მაშისაგან დარეტიანებულ გუგულს და წაიღო; ბურტულებიდა დაფრინავდენ ჰაერში. გაესარდა მესიას, მორთო ერთი სიმღერა და ფრთების ქნევა. მე-კი გამოველ ბაღიდან და მინდვრათ გავედი, — მინდოდა შემეტყო იქ როგორ-ღა მიმდინარეობდა ცხოვრებ'.

კოტე ელიოზიშვილი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასი რვეული.

(ჩერნიჩინდ ლიფარგისა)

ბატარა, ვიწრო ოთახი, რომლის კარიც შეაღო ქან ლარმელმა, უფრო შეკრულ ყუთს მოგონებდა კაცს, ვიდრე ოთახს. იგი სიფთხილით გაეკრა კედელს, რომ აეთმყოფ დედის საწოლი არ გაენძრია და მით-არ შეეწუხებინა დასუსტებული ძვირფასი არსება.

— როგორა ხარ დედა? ღამე როგორ გეძინა? დაეკითხა ქანი შეწუხებული სახით.

— უფრო კარგათ, ჩემო შვილო, ვიდრე წინეთ. ხომ არ გამიღვიძებიხარ? მგონი, ერთხელაც არ დამიხვეღებია.

აეთმყოფმა სიყვარულით აღსავსე თვალებით გადახედა შვილს და ღიმილით ხელი გაუწოდა.

— ჩემ დედას ვენაცვალე, [illegible]იცხე სრულებით არა გაქვს. აი, ახლაე საუზმეს მოგიტან და მერე წვალ ლექკოებზე.

— ღვთის გულისთვის ფეხ-თ ნუ წახვალ, დედა გენაცვალოს! ღმერთმანი, შენ თავს ვოიკლავ მაგდენი სირბილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ ჩემთვის ნუ სწუხარ, დედა, მე კარგათ ვარ.

შვილმა გაუსწორა სბანი, ბალიში გადაუბრუნა, მიუდგა ფინ-ჯანით ყავა, რძე, სიყვარულით შუბლზე ეამბორა და საჩქაროთ გა-ვიდა ოთახიდან. ქუჩაში რომ გავიდა მაშინ-კი იგრძნო, რომ თვალე-ბი ცრემლებით ემსებოდა.

-- დავიჯერო დედა უნდა მომიკვდეს, შიშით გაიფიქრა ქალმა —დღეს მგონი უფრო სუსტათ არის, ჩემი ნუგეში, ჩემი საწყალი დედა.

წინა დღით ექიმი იყო და გადაწყვეტით ვერაფერი უთხრა სა-სოწარკვეთილს შვილს, „შეიძლება დიდი მუშაობისაგან დაიღალა, სისხლი დაკლდა და იმიტომ დასუსტდა აგრე! იქნება კლექიც იყოსო“.

— საოდაგი დედა, საოდაგი! ფიქრობდა ქალი,—ხომ ყველა ეს ჩემის მიზეზით დაემართა; მხოლოთ შემთვის, ჩემის სწავლის გუ-ლისთვის მუშობდა ერთი ორათ მეტს იმაზე, რამდენიც შესაძლე-ბელი იყო მისი ჯანმრთელობისათვის. მთელ ღამეებს ათენებდა მუ-შაობაში, რომ ლექციების მოსასმენი ფული შეეტანა უნიეერსიტეტ-ში და ყველა ამას ჩადიოდა იმიტომ, რომ ჩემთვის სწავლა-განათლე-ბა მოეცა, რომ მეც ბოლოს ისე უზრუნველათ მეცხოვრა, როგორც მამის დროს ეცხოვრობდით.

— როდის იქნება ამ ჯოჯოხეთი ოთახიდან გადავიდეთ, ამ აყ-როლებული ეზოდან გადეიყვანო დედა, სადმე პატარა სახლში, სა-დაც მარტო ჩვენ ვიდგებით და კარ-წინ ბაღიც გვექნება, რომ ჩემ საყვარელს დედას შეეძლოს სუფთა ჰაერი ისუნთქოსო. ოცნებობდა გულ-დათუთქული ყმაწვილი და თან იგონებდა თავიანთ წინანდელ ცხოვრებას. მამა მისი მართალია ხშირათ იტყოდა ხოლმე, ლიტე-რატურით ცხოვრება სწორეთ რომ გაჭირვებისაო, მაგრამ რადგან ის მეტათ დაუღალავი მუშა იყო, ესენი ყოველთვის კარგათ ცხოვრობ-დენ და კარგ საზოგადოებაშიაც დადიოდენ, მეგობრებ-ნაცნობებიც ბლომათ ჰყავდათ. მაგრამ, როგორც-კი მამის წლის წირვა გადაიხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს, ნაცნობები სულ მთლათ შემოეფანტენ; ალბათ იგრძნეს, რომ უმამოთ დარჩენილ ოჯახს შემწეობა დასჭირდებოდა და ამას გაქცენ. ქანის დედა ჩაეარდა გაჭირებაში, იგი მუდამ იმის ზრუნეაში იყო, რომ ხეალისთეის უსადილოთ არ დარჩენილიყუენ და ამიტომ მისი შუბლი მწუხარებამ დაანაოჭა. სულ ერთაეთათ დაფიქრებული მუშაობდა დღე და ღამ, საყეარელი შეილის ალერსიც-კი ეელარ გვრიდა ღიმილს, რომელიც ისე უხდებოდა მის ლამაზ, კეთილ სახეს. შეილი მას ჯერ ისეე ბალღათ მიაჩნდა და ამიტომ თაეის გაჭირებას არას ატყობინებდა და როდესაც გონიერი ქანი დედის თეალებზე ცრემლებს შენიშნაედა და დაეკითხებოდა, „დედა, რათა ტირიო?“ ის უპასუხებდა:

— ითამაშე, შეილიკო, ითამაშე, გადი გარეთ და გაერთეო და დაუწყებდა კოცნას.

— დედა, მე გატყობ, რომ შენ რაღაზედაც იტანჯები?

— არა, ჩემო შეილო... მე ისე, მამაშენი მომაგონდა.

ბაღში დაუწყებდა დედას ალერსს, კოცნას, მაგრამ დედას თითქო ამით უფრო და უფრო ჩამოსდიოდა ცრემლები.

ბოლოს ქანს თეალწინ წარმოუდგა ის საშინელი დღე, როდესაც მათი უკანასკნელი ბედნიერებაც გაქრა. დილა იყო. შემოეარდა სახლის პატრონი, სასტიკისა და შეუბრალებელი სახის კაცი და დაუყეირა დედას:

— მე მეტის მოცდა აღარ შემიძლიან, ან ახლაეე მომეცით სახლის ქირა და ან დღესეე გადადით სახლიდანო.

და დედა-შეილი იმ დღესეე გადაეიდენ სახლიდან და ყოველისფერი აეეჯი სახლის ქირაში დაუტოვეს შეუბრალებელ სახლის პატრონს, მხოლოთ დიდის ხეეწნით გამოითხოვეს ორი პატარა საწოლი, ერთი მაგიდა და ორი უბრალო სკამი. გაჭირა ყველაფერი წინანდელი კეთილის ცხოერების მოსაგონებელათ. დასახლდენ ამ უბრალო ოთახში, კეთილმა სახლის პატრონმა შეიბრალა და დროებით უქირაოთ დაყენა. ქანს კარგათ ახსოვს მეორე დილა, როდესაც ისა და დედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭაროთ წაიდენ ძველ ბინაზე, რომ სახლის პატრონისთვის ეთხოვათ ნებენს აეფჯს ორ დღეს ნუ გაჰყიდითო. დედას იმედი ჰქონდა ძველი მეგობრები უეკველია შემიბრალებენ და ზოგიერთ, ჩემთვის ძვირფას ნივთებს გამოიყიდიო, მაგრამ საუბედურთ სახლის პატრონს დილითვე გაეყიდა ყველა და დედა შვილი რომ მივიდენ აღარაფერი დახვდათ. სულ ყველაფერი გაეყიდათ! საშინელი იყო დედაშვილის მწუხარება. მართალია ძვირფასი ნივთები არა ჰქონდათ რა, მაგრამ ქანის დედისთვის ისინი ძვირფასი იყვენ, როგორც მისი ბედნიერების მოწმენი.

— ნეტა მისი საწერი მაგიდა მაინც მეყიდნა, ან თითბრის საწერელი. წიგნები მენანება, განსაკუთრებით ლექსების რვეული, რომელიც მხოლოთ ჩემთვის იყო დაწერილი. ის იყო მთელი ჩვენი ცხოვრების მომგონებელი, ჩვენი პირველი გაცნობის დროდან ბოლომდე, —ფიქრობდა საცოდავი ქანის დედა.

დედა და შვილი გულ-დაწყვეტილები დაბრუნდენ ახალ ბინაზე. იმ დროს ქანი თორმეტი წლისა იყო. ის საკუთრათ დედის გაზრდილი იყო და ამიტომ მეტათ გულჩვილი, დედის მწუხარება ძლიერათ მოქმედებდა მის ნაზ და მგრძნობიარე არსებაზე. საზოგადოთ ბავშვებთან თამაშს ერიდებოდა, შენატროდა-კი მათ ბედს: ისინი ბედნიერები არიან, დედ-მამა ჰყავთ და უზრუნველათ ცხოვრობენო. გულში ღრმათ ჰქონდა დამარხული უზომო სიყვარული და პატივისცემა მამისა, დედის ჩაგონებით, როგორც ნიჭიერის მწერლისა.

ყმაწვილს ახლაც ახსოვდა ის დრო, როდესაც დედა ისეთის აღტაცებით კითხულობდა, თითქმის ყოველ დღე, წიოელ ყდიან რვეულს, პატარ-პატარა ლექსებით გავსილს, რომელიც საკუთრათ მისთვის იყო დაწერილი გარდაცვალებულის ქანის მამისაგან. რვეულის პირველ გვერდზე ეწერა ოთხ სტრიქონიანი ლექსი, სავსე ტკბილ ალერსიან სიტყვებით, ეს რვეული იყო ქანის დედისათვის საუკეთესო განძი თავისი წარსული ბედნიერების მოსაგონებლათ და ეს სუკეთესო განძი აღარსად იყო. იმ ძვირფას რვეულსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ბედი ეწვია, რაც სხვა ავეჯს, საჯარო ეკჯრობით გაყიდულ ნივთებს გაატანა შეუბრალებელმა სახლის პატრონმა. უეჭველია ის ხელში ჩაუვარდა ისეთ ეისმეს, რომლისთვისაც სრულიად უმნიშვნელო იქნება. ამ რეულზე ხშირათ ლაპარაკობდენ დედა-შვილნი და ქანი კარგათ ხედავდა, რომ დედისათვის რეულის პოვნაზე სასიხარულო არა იქნებოდა რა და რა ბედნიერება იქნებოდა ქანისთვის, რომ იპოვიდეს იმ წიგნს და ეტყოდეს დედას:

— აჰ, ჩემო დედა, შენი ძვირფასი რეული, ეს მოწმეა შენის ბედნიერებისა, შეინახე, შენი საუნჯე ახლა შენია და ველარაკინ შეგეცილებაო. და როდესაც-კი მიხვდა ქანი რანაირათ შეიძლებოდა რეულის ძებნა იმ დღიდან ყოველ დროს მის ძებნაში იყო.

რამდენისამე ხნის ძებნის შემდეგ ქანმა გაიგო, რომ მისი მამის წიგნები ძველი წიგნების გამყიდველს ჩაეარდნია ხელში და ამან ძალიან შეაწუხა. წიგნების მოყვარულს, კერძო კაცს, რომ ჰქონოდა ის შეინახავდა, არ გადაადგებდა, მაგრამ წიგნების ეკჯარი, რაკი დაინახავდა უმნიშვნელო რეულს, უეჭველათ გადაისროდა სადმე. ქანი-კი ისე სიფრთხილით აგროვებდა საუზმისთვის დედისაგან მიცემულ გროშებს, რომ იმით გამოეყიდნა ძვირფასი რეული.

ყოველ დღე ძველი წიგნების ეკჯრის მაღაზიასთან რომ გაივლიდა, გულის-კანკალით ათვალიერებდა წითელ-ყდიან წიგნებს, რომ ეკება იმათში ეიპოვო ძვირფასი წიგნიო, მაგრამ ამაოთ, სანატრელი რეული არსად ჩნდა.

ქანს ამედი მაინც არ დაუკარგავს და ისევე გულდასმით ათვალიერებდა ყველა წითელ ყდიან წიგნს, როგორც პირველათ.

ამ დღესაც ჩვეულებრივის გულის-კანკალით მიუახლოვდა ქანი წიგნებით გავსილ ფანჯარას.

— ღმერთო ჩემო! ამას რას ეხედავ! ამოსკდა გულიდან ქანს— ნუთუ ეს მართალია! ჩამწკრივებულ წიგნებს შუა, რომელთაც ეწე-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რათ: თითო ორ ფრანკათ დირსო, ქანს თვალ-წინ გამოეჭიმა სანატრელი რგუელი წითელი ყდით, რომელსაც ხუთ წელიწადს ასე გაფუცცებით ეძებდა. უბედურება ეს იყო რომ ჯიბეში ერთი გროშიც არა ჰქონდა. საცოდავს შიშის ზარი დაეცა,—ერთიც ენახოთ ვინმემ იყიდოს, მანამ ფულს მოვიტანდე! რაღა ექნა? გაიფიქრა ქანმა

დარცხვენით მიუახლოვდა თავ-ჩაღუნული ქან წიკნების ეაჭარს და შეეხეწა, საათი გქონდეს აქ გირაოთ, მანამ ორ ფრანკს მოვიტანდე და აიმ რეეულს ნუ გამიყიდო. თან შიშით გული უკანკალებდა, ეაი თუ უარი მითხრასო.

— მე კარგათ გიცნობთ, ყმაწვილო, ყოველ დღე აქეთ არ დადიხართ, რათ მინდა თქვენი გირაო, წაიღეთ წიგნი და ფული ხვალ დილას მომიტანეო, უთხრა ეაჭარმა.

ქანმა ჩაიკრა გულში რეეული და გამოექანა სახლისკენ. იგი სიხარულისაგან მთლათ გიჟს დაემსგავსა. მამის ლექსების სიახლოვე ნამდვილ მუსიკასაებ ამღერებდა ქანის გულს, რომელზედაც მაგრად მიეკრა ჰეიროფსი რგუელი. ბოლოს ვერ მოითმინა, ცნობის მოყვარეობამ დასძლია და გზაში გადაშალა რეეული, პირველი გვერდის წარწერამ გული აუდუღა ყმაწვილ კაცს:

„ჩემო ერთათ ერთო საყვარულო, დედავ ჩემის ეაქისავ, შენ გიძღვნი ამ ლექსებს, რომლებიც ცხადათ ღადებენ შენს ერთგულებას, შენს სილამაზეს, სიწმიდეს შენის სულისას“. ეწერა რეეულის პირველ გვერდზე.

— ღმერთო ძლიერო, რა გაეხარდება ჩემ საცოდავ დედას! ფიქრობდა ქანი.

— დილას ისე სუსტათ იყო. ოხ რა მიხარიან რომ ამ სასიხარულო ამბავს მივუტან. ქანი დარწმუნებული იყო, რომ რეეულთან ერთათ დედას სიხარულსაც მიანიჭებდა და ჯანის სისაღესაც.

კიბეზე ქანს ექიმი შეხვდა, რომელიც დედა მისის ოთახიდან გამოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ამბაია? როგორ არის? შიშით დაეკითხა ქანი.

ექიმი რაღაც საეჭვოთ შეაცქერდა ქანს.

— ნუთუ საიმედო არ არის?

— არ ვიცი, ღმერთმენი რა გითხრათ... არ შემიძლიან...

— მე, მე მ ზეარჩენ დედას! — შეჰკვირა ქანმა და შეეარდა დედის ოთახში. აეთმყოფი ბუარან ში იყო და შვილის შემოსელა ვერ გაიგო. ქანი მოუჯდა გვერდით და მოუთმენლათ ელოდა დედის გაღვიძებას და როგორც-კი შენიშნა, რომ თვალის გახელას აპირებსო, ნელის ხმით წარმოთქვა რვეულის წარწერის პირველი სტრიქონი: „ჩემო ერთათ ერთო სიყვარულო, დედავ ჩემის ეაჟისავ!!.“

— ვინ გასწავლა, შვილო, შენ ეგ სიტყვები? სად გიგონე?

— მე თითონ წავიკითხე, დედა.

— როდის? სად? დიდხანია მას შემდეგ?

— არა, დედი, დღეს.

— დღეს?.. დღესაო? ასე არა თქვი?.. სადა? სადა, შვილო?

— აი აქა, წაილაპარაკა ნელის ხმით ქანმა და მიაწოდა წიგნი.

აეთმყოფმა უკბათ გამოსტაცა შვილს რვეული, ცოტა ხანს გაშტერებით დასცქერდა, ჯერ დაეკონა ძვირფას მოგონებას, შემდეგ თვალც-რემლიანმა ჩაიკრა გულში შვილი და აღტაცებით შესძახა:

— გმადლობ, გმადლობ, ჩემო ძვირფასო შვილო!

მეორე დღეს, როდესაც ექიმი მოვიდა გამხიარულებულ აეთმყოფს წიგნი ხელში ეჭირა და ისეთი უკეთობა ეტყობოდა, რომ გაოცებულმა არ იცოდა რა ეთქვა, ეს რაღაც თილისმაა! წაილაპარაკა და გავიდა გარეთ.

აეთმყოფი თანდათან უკეთ გახდა. როცა შვილი უნიეერსიტეტში მიდიოდა დედას სახლში რჩებოდა სასიამოვნო გასართობი, ძვირფასი რვეული, რომელიც ისე ცხადათ უამბობდა თავის საყვარელი ქრმის გულის წადებს და ძველ მოგონებებთან ერთათ ჯან-ღონეც უბრუნდებოდა.

ქანმა, როდესაც შეატყო, დედას აღარა გაუჭირდება-რაო, ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ორათ მოუმატა მეცადინეობას და მთლათ თავის ძალ ღონით დაეწაფა სწავლა-განათლებას.

გაიმარჯვა კიდეც. ისე კარგათ გაათავა უნიეერსიტეტი, რომ მაშინვე დანიშნეს ერთ დიდ საავათმყოფოში ექიმის თანაშემწეთ და თავისის ცოდნით და საქმის სიყვარულით ისე მიიქცია უფროსი ექიმის ყურადღება, რომ ის ყველა თავის ავათმყოფებს ჭანთან აგზავნიდა საექიმოთ.

ამ ჭამათ ექიმ ლარმელის სახელი განთქმულია. ის თუმც მდიდარ კაცათ ითელება, მაგრამ ისეეე ერთგულათ და თავდადებით უყურის და ექიმობს ავათმყოფებს, როგორც სიღარიბის დროს. ჭანი მტკიცეთ ადგია იმ აზრს, რომ თუ ადამიანი გულით ყოჩაღათ და მაგრათ არის სხეულის ავათმყოფობა ადვილი დასაძლეეია, ამიტომაც ყოველთვის იმას ცდილობს, ავათმყოფი გულით გაახაროს; მდიდრებს შესაფერ წიგნებს ურჩეეს წასაკითხათ და ღარიბებს მოეპალრის იმედით ართობს და სადაც საჭიროა ფულითაც აძლეეს შემწეობას.

ს. ტიტაშვილი.

(თარგმანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ მეფე. *)

II

ეორგი მეფის მტკიცე მართვა-გამგეობა და ის გარემოება, რომ ეს მეფე იმოდენათ გვარიშვილობას არ აფასებდა, რამოდენათაც პირადს ღირსებას, ნიჭს და დამსახურებას, არ მოსწონდათ იმ დიდებულებს, რომლებსაც თავმოყვარეობა დიდი ჰქონდათ და გვარიშვილობის მეტი სხვა არა გააჩნდათ-რა. იმათ ფიქრით ყოველი თანამდებობა და ადგილი სამეფოს მართველობაში უნდა გვარაშვილობის მიხედვით მისცემოდა. ამიტომ ძალიან უკმაყოფილონი იყვენ ბრ ძენის მეფისა და მისგან განწესებულის ხელისუფლებისა. თამარის გამეფებამ ბევრი იმედები აუძრა ამგვარს დიდებულებს, მათ ეგონათ, რომ თამარი, როგორც ქალი, ვერ გამოიჩენდა თავის მამის სიმტკიცეს და დამოუკიდებლობას, შეუშინდებოდა მათ მუქარას და ისე იმოქმედებდა, როგორც ისინი მოითხოვდენ. თამარის გამეფებისთანავე ამ დიდებულებმა ცხადათ დაიწყეს ლაპარაკი, აღარ დაემორჩილებით ახლანდელ ხელისუფლებსო. მეფემ უთუოთ უნდა გამოცვალოს ისინი და დანიშნოს ვინც ჩვენ გვინდაო. ამათმა

*) ის. „ჯეჯილი“ 1903 წ. № 1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაპარაკმა მიაწია თამარის ყურამდე, მაგრამ თამარმა არაფითარი ყურადღება არ მიაქცია მას, რადგან მტკიცეთა სწამდა მამის სიბრძნე და თითონაც იმ აზრისა იყო, რომ ხელისუფლობა გვარიშვილობის მ-ხედეთ-კი არ უნდა ეძლიაა, არამედ პირადის ღირსების დაგვარათ. ამიტომ გამეფების შემდეგ დატოვა ისევ ის ხელისუფლები, რომლებიც მის მამის დროს იყვენ და მრჩეველბათაც ისინი ჰყავდა, ვინც გორგი მეფის დროს იჩინა თავი სიბრძნით და ნიჭიერებით. როდესაც უკმაყოფილო დიდებულებმა დაინახეს, რომ მათი ხმა-მაღლა გამოთქმული სურვილი არ შეიწყნარა თამარმა და დაადგა მამის კვალს, მოინდომეს ძალის დატანება და ამბოხება. ისინი შეიყარენ აღლაბ რში ქალაქს გარეთ და აქ დადგინეს განაჩენი, რომელიც გაუგზანეს თამარს. ამ განაჩენში ჩამოთვლილი იყო, რომელი ხელისუფლები უნდა გადაეყენებინა მეფეს და ვინ უნდა გაეწესებინა მათ ნაცვლათ. უკმაყოფილოთა მეთაურს და სულის ჩამდგმელს მეჭურჭლეთ უბუცესს ყუთლუ-არსლანს ამ განაჩენით უნდა მისცემოდ უდიდესი თანამდებობა მთელს სამეფოში—ამირ-სპასალარობა.

უკმაყოფილო დიდებულთა ასეთის უკანონო და უცნაურის საქციელის გასახილველათ თამარ მეფემ მოიწვია დიდებულთა საბჭო. საბჭოს დაადგინა შეეპყრათ ამ საქციელის ჩამდენთა მეთაური ყუთლუ არსლანი და მით გონზე მოეყვანათ უკანონობის გზაზე დამდგარი დიდებულები. მართლაც, ყუთლუ-არსლანი შეპყრობილ იქნა, მაგრამ ამან არ დააწყნარა მისი თანაგამძრახები. იმათ, როგორც წინათვე ჰქონდათ დაწყობილი, შეჰკრიბეს თავიანთ ყმები; ამნაირათ შეაგროვეს ლაშქარი და თავი მოიყარეს იმავე აღლაბრის ველზე, საიდანაც შემოუთვალეს თამარს, რო გაეთავისუფლებინა შეპყრობილი ყუთლუ-არსლანი.

ამნაირათ იწყებოდა შინაური არეულობა და ამბოხება, რომელსაც ვინ იცის რა სისხლის-ღერა და უბედურობა მოჰყვებოდა, თამარს რომ ზოგიერთი დიდებულების რჩევით მოენდომებინა მეამბოხეების ძალით დაწყნარება. მაგრამ მან ეგრე არა ჰქნა. მისმა ლმო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიერმა გულმა სისხლის ღვრას მშვიდობიანი საშუალება არჩია. გადასწყვიტა ტკბილის სიტყვით ჩაეგონებინა მეამბოხეთათვის მათი მოთხოვნილების შეუსაბამობა და დაჰპირდა იმ მოთხოვნილების შესრულებას, რომელიც პატიესადები იყო. მეამბოხეებთან მოსალაპარაკებლათ თამარმა მიგზავნა დიდად პატივცემული, ჭკვიანი და სათნოიანი მანდილოსნები, დიდებულთა ცოლები, კარგ ჯაყელი (კახა სამძიერის დედა) და ხორშაქ ცოქელი (რატი სურამელის დედა). ამ მანდილოსნების ბრძნულმა ჩაგონებამ გასჭრა და მეამბოხეები დაწყნარდენ.

ამას შემდეგ თამარმა მოიწვია დიდებულები, რომელთაც უნდა მსჯელობა ჰქონოდათ მეამბოხეთაგან აძრულს საკითხზე ხელისუფლების შესახებ. დიდებულთა საბჭომ სხვა-და-სხვა მიზეზით საჭიროთ დაინახა ზოგიერთის ხელისუფლების გადაყენება და სხვების დანიშვნა. მაგალითათო, თვით მეამბოხეთა მოთავე მეჭურჭლეთ უხუცესი ყუთლუარსლანი, როგორც არა სანდო კაცი, გადაყენებულ იქნა თავის თანამდებობიდან და მის მაგიერ დანიშნულ იქნა კახაბერ ეარდანიძე. ყუბასარის მაგიერ, რომელიც სიბერისა და სნეულობისაგან დაუძლურებული იყო, ამირსპასალრად დანიშნული იქნა სარგის მხარგძელი. მანდატურთუხუცესობა, რომელიც აგრეთვე იმავე ყუბასარს ეჭირა, მიეცა ჭიაბერს.

სამოქალაქო გამგეობაში წესიერების დამყარების შემდეგ თამარმა მოიწვია საეკლესიო კრება საერულიერო უწყებაში წესიერების შესატანათ. თვით კათოლიკოზი მიქელი არ იყო შესაფერის ღირსების კაცი, ეერცხლის-მოყვარეობის გამო ბევრს უსამართლობას იდენდა და მის მიზედვით სხვებიც აგრე იქცეოდენ. კრებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა — ეპისკოპოზებმა, წინამძღვრებმა, ბერებმა, მღვდლებმა და მეუდაბნოეებმა. ამავე კრებისთვის თამარ მეფემ განგებ მოიწვია იერუსალიმიდან კათოლიკოზათ ნამყოფი და თავის ნებით გადამდგარი, მეტათ ჭკვიანი და სამაგალითო ყოფა-ქცევის კაცი ნიკოლოზ გულაბრიძე. კრებაზე ეერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასწრო კათოლიკოზი მიქელი, რადგან იმ დროს ავათ გახდა. კრებას ხელმძღვანელობას უწევდა ნიკოლოზ გულაბრიძე და ანტონ ქუთათელი. კრებამ წესი და რიგი ჩამოაგდო საეკლესიო უწყებაში და გადაყენა წესიერების დამრღვევი ეპისკოპოზები. ზოგიერთებს უნდოდათ თვით მიქელ კათოლიკოზიც გადაეყენებინათ, მაგრამ კრებამ საჭიროთ არ დაინახა, რადგან იმ დროს სკკვდილის პირზე მიწეული ლოგინში იწვა. მისი დასჯა თვით განგებას მიანდეს.

საქართველოში ქალის გამეფებამ იმედები აუძრა აგრეთვე გარეშე მტრებს. იმათაც აგრე იფიქრეს, რომ მეფე ქალი ვერ შესძლებდა ისე ჭკვიანურათ საქმის წაყვანას, როგორც მის წინაპრებს მიჰყავდათ და ამიტომ იწყეს შემოსევა საქართველოს არე-მარეში ხან ერთის მხრით, ხან მეორე მხრით. მაგრამ მტრების იმედი არ გამართლდა. მართალია მეფეთ ქალი იყო ახლა, მაგრამ წეს-წყობილება ისევე წინანდელი იყო საქართველოში. გადმოდგაყდენ თუ არა მტრები ნაბიჯს საზღვრებზე, წინ უხვდებოდენ ქართველები გაანაირ ადგილების ერისთაველების წინამძღოლობით და კუდით ქვას ასროლინებდენ ხოლმე.

თამარის გამეფება დიდი ბედნიერება იყო საქართველოსთვის, მაგრამ მას თან დაჰყვა ერთი საზრუნავი: საჭირო იყო შესაფერის ქმრის შოვნა თამარისთვის. საქმროს არჩევა რაოდენათაც თამარის საქმე იყო, იმდენადვე დიდებულებსაც ეკითხებოდა, რადგან თამარის ქმარი უნდა ყოფილიყო მეფის უმახლობელესი მრჩეველი და ჯარის უმაღლესი წინამძღოლი. თამარი ჯერ არ ფიქრობდა გათხოვებას, მაგრამ დიდებულები და მათთან მთელი ქართველობა-კი ძალიან ეშურებოდენ, სხვათა შორის იმიტომ, რომ უნდოდათ მალე გასჩენოდათ ტახტის მემკვიდრე. საქმროები, რა თქმა უნდა, ბევრნი იყვენ, მაგრამ როგორღაც დიდებულები ვერ თანხმდებოდენ ერთ-ერთის არჩევაში. ბოლოს ტფილისის ამირა აბულ ასანის რჩევით დიდებულებმა გადწყვიტეს თამარისათვის საქმროთ აერჩიათ რუსეთის დიდის მთავრის ანდრიას შვილი, გიორგი, რომელიც იმ დროს თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ბიძის ესეიოლოდის მიერ გამოძეებული ცხოვრობდა ყიფჩაყეთ-ში. ყიფჩაყეთი იყო საქართველოს მოსამზღვრე ქეეყანა და მდებ-რეობდა კაკასიის მთებს გადაღმა. დაეით აღმაშენებელის აქეთ ყიფ-ჩაყები ბლომათ გადმოდიოდეხ საქართველოში და ემსახურებოდენ მეფეებს. თეით ტფილისის ამირა აბულ ასანი ყიფჩაყი იყო და უეკეე-ლია ან პირადათ იცნობდა გიორგი რუსს, ან გაგონილი ჰქონდა მის შესახებ თაეის თანამემამულეთაგან. სხეა საქმროთა შორის დიდებუ-ლებმა უპირატესობა გიორგი რუსს მისცეს, შემდეგის სამის მიზეზით: პირველათ, გიორგი იყო გამოჩენილის გვარისა, მეორეთ, სარწმუ-ნოებით იყო მართლმადიდებელი და მესამეთ, მისი სამშობლო ქეე-ყანა ისე დაშორებული იყო საქართველოზე, რომ შეუძლებელი იყო რუსეთი გარეულიყო გიორგის გამო საქართველოს პოლიტი-კურს ცხოვრებაში.

გიორგი რუსის შესახებ ცნობების შესაკრებათ და მის მოსაწვეეათ დიდებულებმა ყიფჩაყეთში გაგზანეს ამ ქეეყნის კარ-გი მცოდნე დიდ-ეაჭარი ზანქან ზორაბაბელი. მცირე ხნის შემდეგ ზანქან ზორაბაბელმა მოიყეანა ტფილისში გიორგი რუსი. დიდებუ-ლებს გიორგი ძალიან მოეწონათ გარეგნობით და ეგონათ მისი გა-რეგნობა თამარისთვისაც საკმარისი იქნებოდა, რომ ქმრათ შეერთო, მაგრამ, როდესაც მას ურჩიეს შეერთო გიორგი რუსი, თამარმა გა-კვირვებით უპასუხა: როგორ შეიძლება ამნაირის საქმის ქმნა, რო-დესაც არ ეიცით ამ-უცხო კაცის არც ქცეეა, არც ჩეეულება და არც მხედრობის ნიჭიო. დაიცადეთ, გაიცანით რა კაცია და მერე მირჩიეთ მისი შერთეაო. დიდებულებმა არ შეისმინეს თამარის სა-ფუძვლიანი პასუხი და დაჟინებით ურჩეედენ გიორგის შერთეას. თა-მარი რომ გიორგი რუსის შერთეას უარობდა, მაშინ ზოგიერთმა დიდებულებმა საბერძნეთის იმპერატორის ბიძაშეილის ალექსის შერთ-ეა ურჩიეს. ალექსის თამარი კარგათ იცნობდა, როგორც ცუდის ხა-სიათის კაცს და ამიტომ ეს რჩეეა უფრო შორს დაიჭირა. მაშინ დიდებულებმა მიმართეს თამარის მამიდას რუსუდანს და სთხოვეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჩაეგონებინა თამარისთვის რუსის შერთვა. რუსუდანიც ამყეა დიდებულებს, რადგან იმასაც სხვებზე ნაკლებათ არ ეშურებოდა თამარის შვილის და საქართველოს ტახტის მემკვიდრის გაჩენა. თამარს გული ძალიან უარობდა გიორგი რუსის შერთვას, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ისეთის დაკონებით თხოულობდენ ამას დიდებულები და მამიდა რუსუდანიც, დათანხმდა თავის გულის წინააღმდეგ ქვეყნის სარგებლობისათვის. თამარისა და გიორგი რუსის ქორწინება გადახდილ იქნა დიდის ამბით 1185 წ.

მთელი ქვეყანა ხარობდა თამარის გათხოვებას, ორის ადამიანის გარდა: ერთი იყო თვითონ თამარი, რომელსაც თითქმის ძალა-უნებურათ შერთვეს მისთვის ჯრა სასურველი კაცი, ხოლო მეორე —მისი სიყმის მეგობარი დავით სოსლანი. ამ უკანასკნელისთვის რომ ეკითხნათ რათ სწყინდა თამარისგან გიორგი რუსის შერთვა, თითონაც ვერ იტყოდა პასუხს. იმას თითქო შურდა თამარი რუსისთვის, ენანებოდა თამარის ვიღაც გადამთიელის ცოლათ გახდომა, გული დაუმძიმდა და თუმცა უნდოდა გამხიარულება, მაგრამ ვერ ახერხებდა. თითქო გულიდან რაღაც მოსწყვეტესო, თითქო რაღაც იმედი გაუცრუდაო, სწუხდა, დარდობდა, ნაღელიანობდა. რათ? რისთვის? თითქო თითონაც არ ესმოდა. დღემდის მას თავის თავი ყველა მამაკაცზე უფრო მახლობლათ მიაჩნდა თამართან და მართლაც აგრე იყო. ის იყო მისი ტოლი, თან შეზრდილი, ძმობილი. ახლა-კი ის გრძნობდა დაშორებას მისგან. თითქო თამარი დამნაშავე ყოფილიყვეს მის წინაშე, რაღაც უკმაყოფილებას გრძნობდა მის მიმართ, თვალებში ეფარა ახერხებდა პირდაპირ შეეხედნა, ერიდებოდა შეხედრას და თან კიდეც სწუხდა მისგან მოშორებას.

აი ამ ორის ადამიანის გარდა ყველანი კმაყოფილნი იყვენ გიორგი რუსისა. დიდებულებს რაც ენდოდათ შეუსრულდათ. გიორგი ძალიან მამაცი და მარჯვე მეომარი გამოდგა. ქორწილის გადახდის შემდეგ ქართველებმა მის წინამძღოლობით გაიალაშქრეს პირველათ ყარსისა და კარნიფოლის ქვეყნებში, შემდეგ დვინის ქვეყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაში, მასუკან გელაქუნისაში და ბოლოს განჯის ქვემოთ არაქსამდე. ყველა ამ ლაშქრობაში ქართველებმა გაიმარჯვეს და გიორგი რუსმაც ისახელა თავი. დიდებულებს შეეძლოთ ეთქვათ, რომ ისინი არ იყვენ მოტყუებულნი და თამარს შეხვეა შესაფერი ქმარი. მაგრამ არ გასულა ნახევარ წელიწადი, რომ იმათ დაინახეს, თუ რაოდენათ მათი არჩევანი არ იყო რიგიანი და რაოდენათ მართალი იყო თამარი, როცა ურჩევდა მათ დაეცადათ და გაეცნოთ უფრო კარგათ გიორგი.

გიორგი რუსი ლაშქრობის შემდეგ შეუდგა ქეიფსა და გართობას. ცხარე სასმელის მოყვარულს ქართული ღვინო მეტის მეტათ ეგემა და უზომოთ დაუწყო სმა. ღვინის სმასთან მან მეორე ბიწიც გამოიჩინა—გარყვნილობა. ადვილათ წარმოსადგენია რანაირათ უნდა სწყენოდა თამარს თავის ქმრის ამისთანა საქციელი. პირველს ხანებში თამარი არიგებდა და ეხვეწებოდა, რომ მიეტოვებინა ლოთობა, ხოლო როდესაც შენიშნა უმსგავსი ქცევა და გარყვნილობა, ახლო ადარ მიიკარა და გამოუცხადა, რომ, მანამ არ მოიშლიდა ლოთობას და ცუდს ქცევას, ქმრათ არ სცნობდა. თამარის დარიგებამ და მუქარამ გაელენა არ იქონია გიორგი რუსზე. ამას შემდეგ თამარმა მიუჩინა გიორგი რუსს კათოლიკოზი და სხვა საპატიო პირები. გიორგი ამათაც არაკეთილს ყურადღებას არ აქცევდა და პირიქით თვითონ აყენებდა მათ შეურაცხებას. როცა არც ამ საშუალებამ გასჭრა, თამარმა კიდევ დაუწყო პირადათ მხილება და დარიგება, მაგრამ გიორგი რუსმა არც ახლა შეისმინა და უფრო და უფრო ცუდათ იქცეოდა. მაშინ თამარმა სრულებით მოსპო მასთან ყოველგვარი კავშირი.

გიორგი რუსის ქცევის მაცქერალი დიდებულები ძალიან სწუხდენ თავიანთ შეცდომას, რაცხევნოდათ თამარისა და არ იცოდენ რა ექნათ. ხოლო როდესაც თამარმა გიორგი რუსი ისე შერისხა, რომ ყოველივე კავშირი მოსპო მასთან, მათ გამართეს ბჭობა თუ როგორ მოქცეულიყვენ. დიდებულთა საბჭომ გადაწყვეტა, რომ, რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან გიორგი რუსი არ იქცეოდა შესაფერათ, არ ცხენდა საქართველოს ტახტს და შეურაცხყოფდა თამარ მეფეს, გაეშორებინათ თამარისაგან და გაეძევებინათ საქართველოდან. ეს მოხდა 1188 წ. თამარის ქორწინებიდან ორ წელიწად ნახევრის შემდეგ. თამარ მეფემ მიიღო მათი გადწყვეტილება, მისცა ბლომათ ფული სარჩოთ გიორგის და ბრძანა, რომ გაესტუმრებინათ საბერძნეთში.

გიორგი რუსის გაძევების შემდეგ ქართველებს ისევ ის საზრუნაი გაუჩნდათ, რაც თამარის გამეფების დროს. საჭირო იყო თამარის საქმროს შოვნა. ახლაც, როგორც წინათ, საქმროები ბევრნი გამოჩნდენ: მაგალითათ, საბერძნეთის იმპერატორის მანუელის შვილი პოლიკარპოსი, შირვანის მფლობელი აღსართანი, არზრუმის სულთანის ყიზარსლანის შვილი მუტაფერადინი, ანტიოქიის სულთანის სალადანის შვილი და ბევრნი სხვანი. მაჰმადიანი მეფის წულები ისე გატაცებულნი იყვენ თამარის შერთვის სურვილით, რომ მზათ იყვენ ქრისტიანობა მიეღოთ. გაიგეს თუ არა გიორგი რუსის გაძევება, მუტაფერადინი და აღსართანი გამოეშურენ საქართველოში და დაიწყეს მეცადინეობა თავიანთ სურვილის მისაღწევათ. მაგრამ ტყუილი იყო, როგორც მათი, ისე სხვების მეცადინეობა. თამარს არც ერთის შერთვა არ უნდოდა და დიდებულებიც ვერ ბედავდენ რომელისამე მათგანის შერთვა ერჩიათ.

გიორგი რუსის გაძევება ახლა დავით სოსლანს იმოდენადვე გაეხარდა, რამოდენათ წინათ თამარისგან მისი შერთვა ეწყინა. ტყეეობიდან რომ კაცი თავს დაიხსნის, სწორეთ იმის მსგავსი სიამოვნება იგრძნო და სასიხარულო იმედებით აივსო. თამარის გათხოვებით აძრული გრძნობა დავით სოსლანს თან-და-თან გამოერკვა და ცხადი შეიქნა, რომ მას თამარი ჰყვარებია. საშინელი მწუხარება გაიარა დავით სოსლანმა პირველს ხანს, მაგრამ რას იზამდა, მეტი ღონე არ იყო, თავისი გრძნობა უნდა გულში ჩაეკლა და ხნის გამავლობაში თითქო კიდეც ჩაიკლა და გულის მწველი ტკივილი დაიამა. თამარი ახლა ძხოლოთ ებრალებოდა საძაგელის კაცის ხელში. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც გიორგი რუსის თამარისგან გაშორებაზე დაიწყეს ლაპარაკი, დავითის გულში ხელ-ახლათ იფეთქა ძველმა გრძნობამ და სიყვარულ ის ცეცხლი აენთო. წინათ გაუბედაეი და მოკრძალე ეფაქიცა ახლა უკვე გამბედაეი შეიქნა და გადასწყვეტა თამარისთვის გამოეცხადებინა თავისი გრძნობა. უნდოდა მაშინვე გაქცეულიყო რუსუდან დედოფალთან, რომ მისი საშუალებით გაეგებინებინა თამარისთვის რა ცეცხლიც სწვავდა მას, მაგრამ შეკავა თავი, რადგან მის დინჯს გონებას ასეთი საქციელი მეტათ აჩქარებულათ ეჩვენა და ჯერ დაცდა არჩია. თან ცოტა უარის შიშიც შეეპარა და ეძნელებოდა აფრთოვანებულ ის იმედის ასე სწრაფათ ჩაშლა. ცდაში უფრო მეტს სიმოენებას გრძნობდა, თითქო დარწმუნებული იყოს, რომ დრო მის სასარგებლოთ იმოქმედებდა. მართლაც ალღომ არ უმტყუნა დავით სოსლანს. გიორგი რუსის განდეენის შემდეგ რუსუდან დედოფალს მოუვიდა აზრათ თამარის დავითთან შეუღლება. იმის გამჭრიახს თვალს შენიშნული ჭქონდა დავითის გრძნობა თამარისადმი და არც ის გამოეპარა, რომ თამარიც თანაუგრძნობდა მას. მაგრამ რადგან ორნივე მისი მახლობლები იყვენ—ერთი როგორც ძმისწული და მეორე როგორც შვილობილი, ეს მათი ურთი-ერთობრივი გრძნობა ნათესაობის შედეგი ეგონა. ახლა როდესაც თამარის მდგომარეობას დაუფიქრდა, აზრი მის და დავითის შეუღლებისა მის გონებაში ცხადათ გამოინასკვა და ფრიად კეთილათ მიიჩნია ერთისა და მეორის ბედნიერებისათვის. რუსუდანმა თავისი აზრი თამარს გაუმჟღავნა და მისგან სრული თანხმობა მიიღო. ახლა საჭირო იყო დავითისათვისაც ეთქვა. ერთხელ, როდესაც დავით სოსლანი რუსუდანთან იყო, ამან ჩამოაგდო ლაპარაკი თამარის საქმროების შესახებ იმ კილოთი, რომ ეტყობოდა უნდოდა გამოეწვია დავით სოსლანი თავის გრძნობის გამოსათქმელათ. რუსუდანის ხერხმა გასჭრა და დავით სოსლანმა გამოუცხადა თავისი გრძნობა და სურვილი. რუსუდანმა მაშინ შეატყობინა დავითს თავისი აზრიც და გააგებინა, რომ თამარიც თანახმა იყო, მხოლოთ საჭირო იყო დიდებულთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოანმობაც. რუსუდანმა ურჩია შეილობილს ჯერ ჩუმათ ყოფილიყო და დაჰპირდა დიდებულებთან საქმის გაწყობას. აღტაცებული დავითი ცას დაეწია სიხარულით და გადაეხვია თავის დედობილს.

რუსუდან დედოფალმა თავისებურის მოხერხებით დაუწყო გაელვიანს დიდებულებს ჩაგონება, რომ თამარისთვის მეუღლეთ აერჩიათ დავით სოსლანი. მართლაც რით უნდა ყოფილიყო დასაწუნელ ეს ვაქაცი. გვარით იყო ბაგრატიონი, საქართველოს სამეფო გვარის შტო, გაზრდილი იყო საქართველოში და მისი ვაქაცობა, მშვიდობიანი ხასიათი, კეთილი ზნეობა და სიჭკვიანე ყველასა ჰქონდა შეგრწმებული. რუსუდანისგან ჩაგონებულმა დიდებულებმა სხვა დიდებულებსაც გაუზიარეს ეს აზრი და ყველას ჭკუაში დაუჯდა. დავით სოსლანს თავის მშვიდობიანის და მოკრძალებულის ხასიათის გამო პირადი მტრები არა ჰყავდა, ყველას მიაჩნდა კეთილს და სუსტის ხასიათის კაცათ და ამიტომ მის სამეფო ტახტზე ასელით ყველანი პირებდენ სარგებლობას. წინააღმდეგნი იყვენ მხოლოთ ზოგიერთი გიორგი რუსის მომხრეები, რომლებსაც კიდეე არ დაჰკარგოდათ მისი დაბრუნების იმედი. ასეთი იყო, მაგალითათ, გუზან აბულასანიძე, კლარჯეთის ერისთავი, რომელიც საიდუმლოთ მოქმედებდა დიდებულებში დავითის წინააღმდეგ. მაგრამ მისმა მეცადინეობამ ვერ გასჭრა და დიდის ამპით გადახდილ იქნა ქორწილი თამარისა და დავით სოსლანისა დიდუბის სასახლეში 1189 წ. რუსუდან დედოფალმა ყოველი ღონე იხმარა, რომ დიდებულათ ედღესასწაულათ ეს საბედნიერო ამბავი. ქართულს საქორწილო ცერემონიებს დაურთო ხვარსნული და ერაყული ცერემონიები და ამიტომ დღესასწაული მეტათ ბრწყინვალედ იქნა გადახდილი.

დიდებულები მოუთმენელათ მოელოდენ იმის დანახვას თუ როგორი გამოდგებოდა დავითი სამეფო ტახტზე. მათ გასაოცრათ დავით სოსლანი სულაც ისეთი სუსტი და მოკრძალებული არ გამოდგა მეფის ტახტის გვერდით, როგორც დიდებულებს ეგონათ. პირიქით, რაოდენათაც თამარი იყო ლმობიერი, იმოდენათ დავითი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდგა მკაცრი და მტკიცე ხასიათისა და მიმართულებისა. დაეთ
შენიშნული ჰქონდა, რომ ზოგიერთი ერისთავები თავენებათ სარგებ
ლობდენ თავიანთ ფართო უფლებით და უსამართლობას ჩადიოდენ
შეიქნა თუ არა თამარის მეუღლეთ, დაეითმა მიაქცევინა მეფეს ყუ
რადღება ამ გარემოებისთვის. თამარმა უბრძანა ერისთავებს, რომ
თავენებათ და უსამართლოთ არ მოქცეულიყვენ. ასეთი შენიშნ
ველზე მეტათ დაიმსახურეს იმიერ-საქართველოს ერისთავებმა, ამ
ტომაც ეს ერისთავები ახლა ძალიან უკმაყოფილონი შეიქნენ დ
ეით სოსლანისა, რომლისგანაც არ მოელოდენ ასეთს მათ თავენებ
ბის შეხუთვას. ისინი ახლა ნანობდენ დაეითის სამეფო ტახტზე ა
ვანას და არ იცოდენ რა ექნათ, რომ მათი თავენებური და თავისუ
ფალი ქცევა არაეის შეეზღუდნა. იმიერ-საქართველოს ერისთავები
უკმაყოფილობით ისარგებლა კლარჯეთის ერისთავმა გუზან აბულ
ასანიძემ — იმ აბულ ასანის შეილმა, რომლის წინადადებით იყო მო
წვეული გიორგი რუსი. გიორგი რუსს აბულ ასანიც და მისი შეილიც
დიდს პატივში ჰყავდა და გუზანს კიდეც აშენინა კლარჯეთის ერის
თავობა. ამიტომაც იყო რომ გუზანი ეწინააღმდეგებოდა, როგორც
გიორგი რუსის გაძევებას, ისე დაეით სოსლანის თამარის საქმროთ
არჩევას. ახლა გუზანმა ძალიან მარჯეეთ სცნო გარემოება გიორგ
რუსის დასაბრუნებლათ. მოელაპარაკა უკმაყოფილო ერისთავებს დ
იმათთან ერთათ გადასწეტა მიეწერა გიორგი რუსისთვის, რომ მო
სულიყო საქართველოში და აედგინა თავისი უფლება. ერისთავებ
მოთანხმდენ, რომ გიორგი რუსი მისულიყო ჯერ კლარჯეთში, აქ
დან გუზანს გადაეყვანა იმერეთს, აქ იმ დროსთვის შეკრებილიყვენ
გეგუთში სხვა ერისთავები, თავიანთ ჯარებით, გიორგი რუსი გამ
ეცხადებინათ ხელ-ახლათ თამარის კანონიერ მეუღლეთ და წაეყვ
ნათ ტფილისში, ხოლო დაეით სოსლანი შეეპყრათ და გაეძევებინა.

ამ გადაწყეტილების თანახმათ, გუზან აბულ ასანიძემ გამართა მ
წერ-მოწერა გიორგი რუსთან კონსტანტინოპოლში. ამასაც ამის მე
ტი არა უნდოდა-რა. კონსტანტინეპოლიდან მოეიდა ეზრუმში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქიდან შემოვიდა კლარჯეთში. გუზან ამბულ ასანიძე წაუძღვა მას თაეს ჯარით იმერეთს. მალე მიეიდენ გეგუთში თაეიანთ ჯარით ერისთაეები ოდიშისა, აფხაზეთისა და რაჭისა და გიორგი რუსი გამოაცხადეს თამარის კანონიერ მეუღლეთ (1190 წ.).

ეს ამბაეი რომ გაიგო თამარმა, მეტათ გაჭეირდა და გაოცდა. შეჰკრიბა დიდებულები, რომლებიც ერთგულნი დარჩენილიყუენ და გამართა ბჭობა. შეკრებილმა დიდებულებმა აგრეთვე გოაცება გამოაცხადეს და თამარის კითხვაზე, თუ რა უნდა ყოფილიყო ასეთის მოაელენის მიზეზი, ეერაფერი უთხრეს-რა. დიდებულები იმ აზრისა იყუენ, რომ შეეკრიბათ ჯარი და გადგომილი ერისთაეები ძალით შეეკყრათ გიორგი რუსთან ერთათ. საშინელი დრო დგებოდა. უნდა დაწყებულიყო ძმათა შორის ომი და ქლეტა, საქართველო უნდა გამხდარიყო უსაძაგლესის შინაური შეოთის სარბიელათ. თამარს შეზარდა ასეთი სურათის წარმოდგენა და ითხოეა ჯერ მშეიდობიანის საშუალების ხმარება—მოლაპარაკება გადგომილებთან. დიდებულები დაეთანხმენ და გადგომილებთან მოსალაპარაკებლათ გაგზანეს თეედორე კათოლიკოზი, ანტონ ქუთათელი და სხეები. მოციქულებმა გადგომილებისგან იმის მეტი ეერა გაიგეს-რა, რომ დაეით სოსლანი არ უნდოდათ თამარის ქმრათ და კანონიერ ქმრათ სცნობდენ გიორგი რუსს. თამარმა და დიდებულებმა დაინახეს, რომ მშეიდობიანათ საქმის გათაეება შეუძლებელი იყო და შეუდგენ ჯარის შეგროებას, რომ დახეედროდენ გადგომილთა ჯარს, რომელიც აპირობდა ტფილისისკენ წამოსელას.

გადგომილებმა თაეიანთ ჯარი ორათ გაჰყეეს. ერთმა ნაწილმა გიორგი რუსის წინამძღოლობით გადმოიარა ლიხის მთა და დადგა გორის ახლო. მეორე ნაწილი დადიანისა და ბედიანის წინამძღოლობით გადაეიდა ჯაეახეთში, საიდანაც აპირობდა მოსელას ტფილისს. თამარმა მომაეალ გადგომილთა ჯარის დასახეედრათ გაგზანა ჯარი ჯაეახეთში, აქირ სპასალარის გამრეკელის წინამძღოლობით, ხოლო გიორგი რუსის დასახეედრათ ემზადებოდა ტფილისში თეით დაეით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსლანი. თამარის ჯარმა ჯაველეთში გაუმართა ბრძოლა გადგომილების ჯარს და დამარცხა. ამ გამარჯვების ამბის მიღების შემდეგ დავით სოსლანი თავის ჯარით გაემართა გიორგი რუსისკენ, რომელსაც უკვე გასდგომოდენ ზოგიერთი ქართლის დიდებულები და მთიულები. მაგრამ დავით სოსლანმა გორში ეველარ ნახა გიორგი რუსის ჯარი, რადგან შეეტყო თუ არა მას ჯავახეთში გადგომილების დამარცხება, შეშინებოდა და უკან წასულიყო იმერეთს. თამარის ასეთმა გამარჯვებამ და გიორგი რუსის უბრძოლელათ უკან დახევამ ბევრს გადგომილს დიდებულს აფიქრებინა თავის დანაშაულის გასწორება და ნებით დამორჩილება. ერთს-ორს მაგალითს სხვა მაგალითები მოჰყვა და კარგა დიდი ნაწილი გადგომილებისა გამოცხადდა თამართან და ითხოვა შეწყალება. თამარმა ჩვეულებრივიის ლმობიერებით მიიღო დამნაშავეები, აპატიეა დანაშაული და შეიწყალა. ამის დამნახავეები სხვებიც შეეედრენ თამარს შეწყალებას. ზოგი პირდა-პირ მოვიდა, ზოგმა რუსუდან დედოფლის, კათოლიკოზის, ეპისკოპოზების და მანდატურთ-უხუცესის შუამდგომლობას მიმართა. თამარმა ყველას შეუნდო. სვანეთის დიდებულებმა გიორგი რუსი, რომელიც შესძულდათ უბრძოლელათ გაქცევისათვის, შეიპყრეს და თამარს მიჰკვარეს. თამარმა გიორგი რუსსაც შეუნდო და მისცა ნება ხელ შეუხებლათ წასულიყო საქართველოდან. იევნე მხარგძელმა გაიცალა გიორგი რუსი საზღვრამდე და გაისტუმრა ისევ კონსტანტინოპოლს.

ამნაირათ თამარ მეფემ თავის ლმობიერებით და შეწყალებით დაიმორჩილა ხელ-ახლათ ყველა გადგომილები, რომლებიც შეწყალების იმედით თავისთავათ გამოცხადდენ და ერთგულობა შეჰფიცეს. მხოლოთ ერთმა დიდებულმა ვერ გაბედა თამართან მისვლა და პატიების თხოვნა. ეს იყო კლარჯეთის ერისთავი გუზან ამბულ ასანიძე. ის თავის თავს მეტათ დამნაშავეთ სთვლიდა და არ ჰქონდა შეწყალების იმედი. თამარისა ისე არ ეშინოდ, როგორც დავით სოსლანისა, რადგან მას ეგონა, რომ ის მის პირადს მტრათ შეიქნებოდ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი მის მეცადინეობით იყო დაწყებული სოსლანის წინაღმდეგი და შეურაცხმყოფელი ინტრიგა. ვუზანმა შეუძლებლათ დაინახა საქართველოში ყოფნა და ამიტომ საქართველოს ღალატი გაბედა. მეზობელის თურქთა სახელმწიფოს მფლობელს, ესრედ წოდებულს შაჰარმანს მიუდგა და მის მორჩილად გამოაცხადა თავის თავიც და თავის საერისთაოეც—კლარჯეთი. შაჰერმანის ჯარი შემოვიდა კლარჯეთში და ჩაიბარა გუზანისგან ციხეები. გუზანის ეს ახალი დანაშაული კი მიუტევებელი იყო. და თვით თამარიც მეტათ ააშფოთა მან. თამარმა გაგზანა ჯარი სარგის თმოგველის და კახა სამძივრის წინამძღოლობით კლარჯეთის დასაჭერათ და შაჰერმანის ჯარის გასადევნათ. კოლაში ქართველები შეხვედნ შაჰერმანის ჯარს და შეებრძოლენ. თუმცა თურქები რიცხვით სჭარბობდენ, ქართველებმა მაინც დაამარცხეს. შემდეგ აიღეს ყველა მტრებისგან დაჭერილი ციხეები, შეიპყრეს გუზანის ცოლ-შვილი და სრულიად გადევნეს თურქები. ამას შემდეგ გაბოროტებული გუზან აბულ ასანიძე მაინც თავისას არ იშლიდა და თურქების ჯარით შემოესეოდა ხოლმე კლარჯეთს. ერთს შეტაკებაში ქართველებმა ხელთ იგდეს გუზან აბულ ასანიძე და წარუდგინეს იმ დროს კლარჯეთში მყოფს დავით სოსლანს. ამ ქვეყნის მოღალატის და თავის შეურაცხმყოფელის დანახვაზე დავით სოსლანი ისე აღელდა, რომ ვეღარ მოითმინა და თამარის დაუკითხავათ მიუსაჯა მას შესაფერი სასჯელი – თვალების დაწვა.

ამნაირათ გაიარა იმ ქარიშხალმა, რომელიც მოჰყვა თამარისგან დავით სოსლანის შერთვას. ამისთანა უაზრო, უსაფუძვლო და უმსგავსი საქციელი ბევრი არ მოიპოვება. ნახევარ სამეფოს დიდებულები, დაბრმავებულნი პირადის ჯავრით, აღდგენ დავ-თ სოსლანის წინააღმდეგ და არ იფიქრეს, რომ ამით დიდს შეურაცხებას აყენებდენ მათსავე სათაყვანო პირს თამარს. მაგრამ რაც უფრო სასაცილო და საზიზღარიც იყო, ამ თამარისთვის მოინდომეს დაებრუნებინათ ქმრათ მისგან მიტოვებული, ქვეყნისგან გაკიცხული, ყოველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულირსი კაცი—გიორგი რუსი. ქარიშხალი მეტათ საშინელი იყო, როგორც დავითისთვის, ისე თამარისთვის და მომეტებულათ მთელის საქართველოსთვის. მაგრამ თამარისა და დავითის სვემ გაიმარჯვა და დათრგუნვილ იქნა განსაცდელი, ხოლო თამარის ლმობიერებამ დაამყარა მშიდობიანობა და თანხმობა მთელს საქართველოში.

დავით სოსლანმა გაამართლა თამარისა და დიდებულთა იმედები, ის გამოდგა ბრძენი მმართველი და ნიჭიერი წინამძღოლი. ამას გარდა მის ქორწინებას თამართან მოჰყვა ის, რისთვისაც ასე ეშურებოდა ქვეყანა თამარის გათხოვებას. 1192 წ. თამარს ეყოლა ვაჟიშვილი, მემკვიდრე საქართველოს ტახტისა. ამ ამბავმა გაახარა მთელი ქართველობა. ახლათ დაბადებულს თამარმა დაარქვა თავის მამის სახელი გიორგი. ბავშში მეტათ ლამაზი იყო. მის სწორს და შეზომილს სახეზე კაცს თვალში ეცემოდა წინ-გამოშვერილი ქვემო ტუჩი ანუ ლაში. ამ ნიშნის მიხედვით თამარი ხშირათ ალერსს დროს თავის საყვარელს შვილს ეძახდა ლაშს. ხალხმაც საყვარულის ნიშნათ ეს სახელი შეარჩინა გიორგის და დღესაც ისტორიაში ცნობილია ამ ორის სახელით: გიორგი ლაშა. დავითმა ეაჟის დაბადება შეიტყო იმ დროს, როდესაც ძლევამოსილი და გამარჯვებული იდგა ბარდავში და შეპყრობილი ჰყავდა აუარებელი ტყვე. სასიხარულო ამბის გაგონებაზე დავითმა გიორგი ლაშას სადღეგრძელოთ გაათავისუფლა 30,000 ტყვე. როგორც ეს წელიწადი, ისე შემდეგი 1193 წელიწადი ქართველებმა ლაშქრობაში გაატარეს სამხრეთის საზღვრებზე. ყველგან გამარჯვებული ქართველები ეროვნულს დღესასწაულებში იყვენ გართულნი. ამ გამარჯვებათა გარდა თამარი და დავით სოსლანი გაახარა მეორე შვილის ყოლამ 1193 წ. მიეცათ მშვენიერი ქალი, რომელსაც სახელათ დაარქვეს რუსუდანი.

ადირბეჟანის ათაბაგი ამირ-ბუბაქარი მეტათ შეწუხებული იყო ქართველების გამარჯვებით და ნატრობდა მათ ჯაფრის ამოყრას. სწორეთ ამ დროს მასთან მიიდა თავის მოუსვენარის ხასიათის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინოპოლიდან გამოძეებული გიორგი რუსი და მეარეელობა სთხოვა. ათაბეგმა სიამოვნებით მიიღო და საცხოვრებლათ მიუჩინა არანის ქვეყანა (განჯის მხარე). გიორგი რუსმა აქ იშოვა ჯარი და, თავის ჯავრის ამოსაყრელათ, შემოესია ქიზიყს. ხორნაბუჯის ციხის უფროსმა მახატელიძემ ეს ამბავი რომ შეიტყო, მაშინვე გაეიდა ციხიდან თავის სამის შვილით და მცირეოდენის ჯარით, შეხვდა გიორგის და შეებრძოლა. გიორგი რუსი საშინლათ დამარცხდა და თავს უშველა გაქცეეთ. მას თან გაჰყეა მხოლოთ ორი კაცი, დანარჩენები ტყეეთ წამოიყვანა მახატელიძემ. ეს იყო და ეს. ამ დღიდან საქართველოს ისტორიაში გაჰქრა გიორგი რუსის სახსენებელი (1194 წ.).

დ. კარიჭაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამიწის ისტორია.

ამყაროში ყოველისფერი იცვლება, ყოველისფერს უსხვეფფერდება თვისი სახე; იცვლება ის უზარმაზარი ბურთიც, რომელიც დაუღალავად დაგვასეირნებს უთვალო სიერცეში მზის გარშემო და რომელსაც დედამიწა ეწოდება. ამ ცვლილებას შენც უთუოთ შენიშნავდი, მკითხველო! თუ დაჰკვირვებიხარ მდინარეს, შემჩნეული გექნება, რა ხშირად იცვლის ხოლმე ის თავის კალაპოტს და რამდენად ასახიჩრებს, ანადგურებს თავის ნაპირებს; როდესაც მას აედრის შემდეგ წვიმის ან თოვლის წყალი ძალას შემატებს, ის გალომებული შეებრძოლება მაღალ ნაპირებს და ხშირად მშვენიერ მინდვრებს, სადაც ათასფეროვანი ყვავილები მწვანე მოლს ამშვენებდენ, სრულებით მოსწყვეტს და ცალიერ რიყეთ გადააქცევს. თუ ნახვით არ გინახავს, გაგონით მაინც გაგეგონება: ამა და ამ ალაგას მთა ჩამოწვა, ჩამოიქცა.

ყოველიფე ეს წარმოადგენს ცვლილებას; თუმცა ამგვარი ცვლილება ერთობ პატარა და შეუმჩნეველია დედამწის სიერცესთან შედარებით, მაგრამ პატარა პატარას ემატება და დროთა განმავლობაში შესამჩნევად ასხვაფერებს დედამიწის ზედა-პირს.

უმიზეზოთ ქვეყნიერობაზე არაფერი არ ხდება. დედამიწის ყოველგვარ ცვლილებასაც თვისი საკუთარი მიზეზი აქვს. ეს მიზეზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალგვარი და მრავალფეროვანია, მაგრამ ყველა ისინი შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ზოგი ცელილების მიზეზი დედამიწის ზურგზე, დედამიწაზედვე არის—მაგალითად მიწის-ძერა; ზოგი ცელილების მიზეზი-კი მზე და მთვარეა. მზის სითბო იწვევს დედამიწაზე წვიმას, თოვლს, ქარს და სხვ. წვიმა და ქარი კი დიდ ცელილებას ახდენენ დედამიწაზე. ამგვარად დედამიწის ცელილების მიზეზი ერთის მხრით თვითონ დედამიწაშია, მეორეს მხრით დედამიწის გარეშე. ეს ორი სხვა და სხვაგვარი მიზეზი სხვა-და-სხვაგვარად ცელიან დედამიწას: ის მიზეზი, რომელიც თვითონ დედამიწაშიეა, იწვევს დედამიწის კანის ანუ ზედა-პ რის ამაღლებას, მთების გაჩენას; მეორეგვარი მიზეზი-კი, რომელიც დედამიწის გარეშეა, იწვევს მაღალი ადგილების, მთა-გორების დაშლას და გაეკებას.

განვიხილოთ ჯერ პირველი. დედამიწაზე ვერაფითარი ძალა ვერ იწვევს იმეთ მძლავრ ცელილებას მოკლე დროს განმავლობაში, როგორსაც იწვევს მიწის ძერა. მიწის ძერას ყოველთვის თან მოსდევს ცეცხლისა და სხვა გამდნარ ნივთიერებათა ამოხეთქა დედამიწის გულიდან; იმ ამობერილ ალაგს, საიდანაც ამოხეთქავს ხოლმე ეს გამდნარი ნივთიერება, ეწოდება ცეცხლ-მქშინავი მთა.

ამგვარი მთა დედამიწის ზურგზე ძალიან ბევრია; ზოგი მათგანი უწინდელ დროში ისერიდა ცეცხლს, ხოლო დღეს-კი განელებულია, ჩამქრალი; ბევრი-კი დღესაც ისერის ცეცხლს დრო-და-დრო. დღეს დედამიწის ზურგზე სამასამდე ისეთი ცეცხლ-მქშინავი მთა მოიმოვება, რომელიც ჯერ კიდევ მოქმედებს, ხოლო იმ მთების რიცხვი, რომლებიც უკვე ჩამქრალან, გაცილებით მეტია.

ევროპაში ღღეს მხოლოთ ერთი მოქმედი ცეცხლ-მქშინავი მთა არსებობს, ეს არის ვეზუვი. ვეზუვის ისტორია მეტად გრძელი და მასთან ფრიად საყურადღებოა. ძველი რომაელები კარგად იცნობდენ ვეზუვის, რომელიც მათ უკვე ჩამქრალ ცეცხლ-მქშინავ მთად მიაჩნდათ. მართლაც ის მრავალი საუკუნოების განმავლობაში ჩუმად და წყნარად იყო დაყუდებული და სრულებით არ არღვევდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეშემო მცხოვრებთა მყუდროებას. მაგრამ 63 წელს, ქრისტეს დაბადების შემდეგ, ეეზუეიმ გამოიღეიძა ღრმა ძილისაგან და ცოტა შეითამაშა: მისი დამქრალი და დადუმებული პირიდან ერთბაშათ და სრულებით მოულოდნელათ ამოხეთქა ცეცხლმა და ნაცარტუტამ; თუმცა ამ დროს მიწა ძლიერ არა ძრულა, მაგრამ ამანაც უენებლათ არ ჩაიარა და დაანგრია ერთი ნაწილი ქალაქ პომპეისა, რომელიც ეეზუეის მახლობლათ იყო გაშენებული. მცხოვრებლები შეშინდენ, ეეზუეის ახმაურებამ მათ შიშის ზარი დასცა, მაგრამ ცეცხლ-მქშინაეი მთა მალე დადუმდა; პომპეის მცხოვრებლებმაც გული დამშეიდეს. ეს ალბათ უკანასკნელი გაბრძოლება იყო მომაკედაეი ეეზუეისაო; მალე ააშენეს დანგრეული სახლები და განაგრძეს ისეე დროებით დარღეეული მყუდრო მოქალაქეობრიეი ცხოვრება. მაგრამ 63 წლის მიწის-ძერა თურმე უკანასკნელი გაბრძოლება-კი არ იყო მომაკედაეი ეეზუეისა,—ეს იყო დასაწყისი იმ საშინელი უბედურებისა, რომელიც ეეზუეიმ დაატრიალა 16 წლის შემდე—79 წელს.

მოულოდნელათ და საშინელის ძლიერებით იძრა მიწა, რომელსაც თან მოჰყეა გულშემზარაეი გუგუნი დედამიწაში. სანამ მცხოვრებლები გამოერკეეოდენ და გონს მოეიდოდენ, ეეზუეის პირიდან ამოხეთქა ცეცხლმა და ღრუბელიეით სქელმა ორთქლმა, ორთქლი იმდენი იყო, რომ თეალით აღარაფერი იხედებოდა; ორთქლს თან მოჰყეა უზარმაზარი ქვები და ადუღებული ნაცარტუტა. ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, ორთქლი იქცა წვიმათ და მიწის-ძერისაგან დანგრეულს და გოხრებულ მიდამოს ნიაღვარათ მოეედა.

გათაედა მიწის-ძერა, გადიყარა ღრუბელმა, დაწყნარდა დედამიწა, მაგრამ სამი ქალაქი: პომპეი, ჰერკულანუმი და სტაბია აღარსად იყო,—ისინი ეეზუეს პირიდან ამონადენ ქვებსა და ნაცარტუტას ქეეშ დაიმარხენ. ამას შემდეგ მეთორმეტე საუკუნემდე ეეზუეიმ რამდენჯერმე დაალო პირი, რამდენჯერმე ამოხეთქა იქიდან ცეცხლმა, მაგრამ ამგეარი ამოხეთქეა ყოველთეის სუსტი იყო და მალე შეწყდებოდა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთორმეტე საუკუნიდან მოყოლებული მეჩვიდმეტემდე ეეზუეი თითქმის სრულებით დაწყნარდა: ხან-და-ხან თუ დაინახავდა იმის პირიდან მაყურებელი ორთქლს; ეეზუეი თითქოს სამუდამოთ შეუდგა მყუდრო ცხოვრებას, — მისი კალთები მცენარეულობით შეიმოსა; მისი შაეი პირიდან, სადიდანაც წინეთ ცეცხლის მეტი არაეური ამოდიოდა, ახლა საამოთ გამოიყურებოდენ მედიდური მუხები.

როგორო! გაიოცებ მკითხველო. აი როგორ: ეეზუეის პირი სრულებით შეიკრა, აქ ბუნებამ გაამენა საუკუნეთა განმავლობაში მშვენიერი პატარა ჭალა, სადაც მუხის ხეების ჩრდილთა შორის პატარ-პატარა ტბებში ცხელი წყალი ჩუჩჩუხებდა. ეს ცხელი წყალი მნახველს ეუბნებოდა: მე შთამომავალი ვარ იმ დიადი და მასთან საზარელი მიწის-ძვრისა, რომელსაც ერთ უძველეს დროს სამი ქალაქი უმსხვერპლიაო. მაგრამ დადგა 1631 წლის დეკემბერი, მიწაში დრო გამ.შვებით გაესმოდა წუნარი გუგუნი; ეეზუეის მშვენიერი ჭალა ერთ ალაგას გასქდა და იქიდან ნელა-ნელა იწყო დენა ორთქლმა, მაგრამ ამას არაეინ არ აქცევდა ყურადღებას. 15 დეკემბერს დაიწყო საშინელი მიწის ძვრა, ეეზუეი გასკდა, ამოხეთქა ორთქლმა და ცეცხლმა; ცეცხლი გაიტაცა ქარმა და რამოდენიმე ვერსის მანძილზე გარშემო ბეერგან გადასწვა სოფლები. რამოდენიმე დღეს მიწისძვრა არ შეწყეტილა, მაგრამ სამი დღის შემდეგ ე. ი. 18 დეკემბერს საშინელი გუგუნის შემდეგ ეეზუეიდან ამოხეთქა ნაცარტუტამ, რომელიც წარღენასაეით მოედო გარშემო ადგილებს, დაეაქცია სოფლები და სამი ათას კაცზე მეტი დალუპა. გასაოცარი ის იყო, რომ ნაცარტუტას უკან ამოჰყეა ეეზუეის პირიდან წყალი, რომელშიაც იცი რა იყო მკითხველო? ზღვის ბალახი, ლოკოკინები და თევზები! ამ დღიდან მოკიდებული ეეზუეის მოქმედება დღემდე აღარ შეწყეტილა. დიდი უბედურება მოახდინა მან 1794 წელსაც. ამ წელში ეეზუეიდან ამოხეთქილმა ნაცარტუტამ ბეერი სოფლები სრულებით გაანადგურა; ნაცარტუტა ადიდებული მდინარესაეით შეერია ზღვას, თითქმის ნახევარი ვერსის მანძილზე ზღვა ადუღდა და მოხარშული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეზები ზევით დატოვეთ ვედენ. მეცხრამეტე საუკუნის განმაელობაში ევეზუვემ რამოდენ ჯერმე ამოხეთქა მძლაერათ. ამ უკანასკნელ დროს ის დაწყნარებულია, მაგრამ დრო და დრო მაინც ამოისერის ხოლმე ხან ორთქლს, ხან ქვებს. მისი პირი-კი თითქმის სრულებით ამოსილია, მხოლოთ აქა-იქ მოიპოება ნაპირები, საიდანაც ორთქლი ამოდის.

ის ნაცარტუტა, რომელსაც ორთქლ მქშინავი მთა ისერის, წარმოადგენს მეტათ სქელ სითხეს; ის იმდენათ სქელია, რომ უღონო ბავშს მწვეტიანი ჯოხის ჩარჭობა გაუჭირდება. ნაცარტუტა იმდენათ გახურებულია, რომ რასაც-კი მოხვდება, მაშინვე სწვამს და ხრაკამს, ხოლო ის თვისებაცა აქვს, რომ გარეთ, ჰაერზე მალე ცივდება. ხშირათ ზედ პირი მალე შეიკერის და გამაგრდება იმდენათ, რომ ზედ სიარული შეიძლება; ქვეშ-კი ჯერ კიდევ საკმაოთ ცხელი ნაცარტუტა მიცურავს, როგორც მდინარე ყინულს ქვეშ. ხანდა ხან ნაცარტუტა მალე ცივდება — რამოდენიმე თვის განმაელობაში; ხან-და-ხან-კი ის იმდენათ ნელა ცივდება, რომ ოთხი-ხუთი წლის შემდეგაც-კი ააღუღებს ზედ დასხმულ წყალს. თანდათანი განელებისა და გამაგრების დროს ნაცარტუტა სკდება და ამგვარათ იყოფა პატარა ქვებათა და დიდ ლოდებათ, რომლებსაც სხვა-და-სხვა ალაგას სხვა-და-სხვა მოყვანილობა აქვს. ამგვარი ქვები და ლოდები ზოგან ერთათ რჩებიან მრავალი წლების განმაელობაში, ზოგან იშლებიან და ერთმანერთს შორდებიან; ასე რომ იმ ალაგებში, სადაც ოდესღაც ნაცარტუტას გაუელია, ბევრგან წაწყდებით იმგვარი ლოდების ნანგრევებს, თითქოს უზარმაზარი შენობა დაუნგრეველა რაღაც ძალასო; ბევრგან-კი ეს ნაცარტუტის ლოდები ისევ ერთი-მეორეზე შეწყობილი, რომ უშველებელ კლდეს წარმოადგენს და ადამიანის თვალს ასე ჰგონია, თითქოს რაღაც ზღაპრულ არსებებს უშენებია ის საგანგებოთო. ამგვარ სურათს წარმოადგენს საქართველოში ჯავახეთის მდებარეობა. იქ აწყობილი კლდეების წარმოშობა ხალხს მდევებისათვის მიუწერია. ამგვარ კლდეზე რომ მიუთითოთ ჯავახელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელეს და ჰკითხოთ: რამ აიწყო ამგვარათო, ის მტკიცეთ გიპასუ-ხებთ: უწინ აქ მდევები ყოფილან და იმათ უშენებიათო.

რას მოგვაგონებს გარეგნობით ცეცხლ-მქმინავი მთა? ყოველი ცეცხლ-მქმინავი მთა გარეგნობით ძალიან წაგავს კონუსს, ანუ შაქ-რის თავს: თავში ის გაწერილებულია, ძირს-კი თან-და-თან გაფიერ-დება.

როგორ გაჩნდნენ ცეცხლ-მქმინავი მთები? ზოგი მეცნიერი იმ აზრისა იყო, რომ მიწის-ძვრის დროს იმ ალაგას, სადაც ცეცხლი და ნაკარტუტა ამოხეთქვას აპირებს, მიწის ნიადაგი ამოიბერება, ამოი-ბურცება და ამგვარათ გაჩნდება ხოლმე შაქრის თავის მგზავსი მთაო; ზოგი-კი ამტკიცებდა: არა, იმ ალაგას, სადაც ნაკარტუტა ამოხეთ-ქვეს ხოლმე, თანდათან გროვდება ნაკარტუტა, ქვა, ფერფლი, ამ გვარათ მიწა თანდათან მაღლდება და ბოლოს შაქრის თავს დამგზავ-სება ხოლმეო. დაკვირვებამა და ცეცხლ-მქმინავი მთების შესწავლამ დამტკიცა, რომ უკანასკნელი აზრი უფრო მართალია.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი ისტორია.

(ერნესტ ლავისსისა)

ისრაელები.

1) პატრიარქები (მამათ მთავრები). მდინარე ევფრატსა და ლიგანის მთებ-შუა ძველ დიდი, ცხელი, ქვიშიანი და თითქმის უდაბური ქვეყანა. იქ ქრისტეს დაბადების 2000 წ. წინეთ ცხოვრებდენ ბოგანო ხალხები. იმათ არა ჰქონდათ სახლ-კარი, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდენ და თან გადაჰყავდათ ცხვრისა, ძროხისა და აქლემების ჯოგები. ისინი იკეთებდენ ტყავის კარვებს და იმაში აფარებდენ თავს, კარვებს რასაკვირველია თან ატარებდენ. ეს ხალხი იყოფებოდა მრავალ ტომებათ: თითოეული ტომი წარ-ოადგენდა ვითომ და ერთს დიდ ოჯახს. მამა იყო მბრძანებელი ცოლებისა, შვილებისა და მოსამსახურეთა, მას ეძახდენ მამათ მთავარს ანუ პატრიარქს.

2) ისრაელის ერა. ყველაზე შესანიშნავი პატრიარქი იყო აბრაამი. ის დასახლდა პალესტინაში, მდინარე იორდანეს მახლობლათ. მისი ტომის კაცების ზეპირ გადმოცემით ღმერთმა აღუთქვა აბრაამს ცის ვარსკვლავებზე უმრავლესი შთამომავლობა გეყოლებაო. ამისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფის აბრაამმაც აღთქმა მისცა ღმერთს, რომ ყოველ შენს ბრძანებას აღვასრულებო. აბრაამის ტომის ჩამომავალი არის ორი დიდი ერი: არაბები და ისრაელები. იმ დროს, როცა ისრაელთა პატრიარქთა იყო იაკობი, პალესტინაში დიდი შიმშილობა ჩამოვარდა. იაკობი მთელი თავისის ტომით გადასახლდა ეგვიპტიდან; ისრაელის ერი-კი დიდ ხანს დარჩა ეგვიპტეში და ძლიერ გამრავლდა.

3) მოსე. იმ დროს ეგვიპტეში ცხოვრობდა ერთი ფარაონი, რომელიც ისრაელებს ძეგლების ასაგებად ამუშავებდა და ისე ეპყრობოდა, როგორც მონებს. ისრაელმა მოსემ თავის ხალხს დაუწყო ქადაგება, რომ იაკობისაგან ოდესღაც მიტოვებულ ქვეყანაში დაბრუნებულიყვენ. ისრაელები დაეთანხმენ და წავიდენ მოსეს წინამძღოლობით. მოსე იყო ისრაელების რჯულის მდებელი, ესე იგი, მან შეუდგინა მათ რჯულის კანონები ანუ წესები. ეს კანონები უბრძანებენ ისრაელებს მხოლოთ ერთის ღვთაების თაყვანის ცემას, რომელ.აც ისრაელები იეჰოვას უწოდებენ. მოსე ცხოვრობდა დაახლოებით ქრისტეს დაბადების 1500 წლის წინეთ.

4) პალესტინა. ისრაელებმა მრავალი წელი დაჰყვეს უდაბნოში. ბოლოს მიაღწიეს პალესტინაში, დაუწყეს ბრძოლა იქ დასახლებულ ხალხს; სძლიეს, გაჰფანტეს და თვითონ დასახლდენ ამ ქვეყანაში. იმ დროს ისრაილები განიყოფებოდენ სულ თორმეტ ტომებათ. თითოეული ტომი განაგებდა თავის საქმეებს თავისებურათ.

5) მეფეები. ბოლოს ისრაელებმა მოისურვეს მეფის ამორჩევა, რომელიც წინამძღოლი უნდა ყოფილიყო ომის დროს. იმათ თხოვეს მღვდელ-მთავარს სამოელს, რომ მას ამოერჩია მეფეთ ღირსეული კაცი. სამოელმა აარჩია საული, სცხო წმიდა ზეთი ანუ მირონი და გახადა მეფეთ. ეს მოხდა დაახლოებით ქრისტეს დაბადების 1100 წლის წინეთ. მაგრამ როცა სამოელმა ნახა რომ საული მისი ურჩი გამოდგა, მაშინ გადააყენა და აკურთხა მეორე მეფე დავითი. დავითმა სძლია ისრაელების მტრებს და დასახლდა სიონის მთაზე, ქალაქ იერუსალიმში. მისმა შვილმა სოლომონმა, რომელიც მის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემდეგ გამეფდა, ააგებინა თავისთვის ნაძვის ხისაგან სასახლე და ტაძარი იერუსალიმში (დაახლოებით ქრისტეს დაბადების 1000 წ. წინეთ).

6) წინასწარმეტყველები. სოლომონის შემდეგ ისრაელები ხელ-ახლა გაიყვენ. ათმა ჩრდილოეთის ტომმა შექმნა ისრაელთა სამეფო და იწყო კერპების თაყვანისცემა. ორმა სამხრეთის მხრის ტომმა, იერუსალიმის მიდამოებში მცხოვრებმა, შეადგინა იუდის სამეფო და განაგრძო იეჰოვას თაყვანისცემა. ამ სამეფო ხალხს ეწოდა ებრაელთა ერი. ეს ორი სამეფო მუდამ ერთმანეთს ეომებოდა. შემდეგ ნინეიისა და ბაბილონიის მეფეები თავს დაეცენ მათ—ელეურ მეფეთა ურიცხვის ჯარით, შეუბრალებლათ დაუწყეს წვა ჭირნახულს, ანადგურებდენ ქალაქებს და ხოცავდენ მცხოვრებლებს. ისრაელთა სამეფოს სატახტო ქალაქი სამარია დაიპყრეს ქრისტეს დაბადების 711 წლის წინეთ, ხოლო ებრაელთა სატახტო ქალაქი იერუსალიმი ქრისტეს დაბადების 589 წლის წინეთ. ვინც გადარჩენ ისინი მიდიოდენ უდაბნოებში და იქ ლოცვაში და სამშობლოს განთავისუფლებაზე ფიქრში ლევდენ დღეებს. იმათის მოსაზრებით, ებრაელების საქმე იმიტომ მიდიოდა ასე უბედურათ რომ ღმერთი სჯიდა მათ, რადგან ისინი ცუდათ ცხოვრებდენ-და ღვთის მცნებას არ ასრულებდენ. ესენი ხშირათ დადიოდენ იერუსალიმში და სხვა ქალაქებში საქადაგებლათ; ურჩევდენ ხალხს და მეფეს, რომ კერპები დაემსხვრიათ და წესიერათ ეცხოვრათ, წინაღმდეგ შემთხვევაში უწინასწარმეტყველებდენ საშინელს უბედურებას. ამ კაცებს უწოდებდენ წინასწარმეტყველებს. იმათში ყველაზე შესანიშნავი იყვენ: ილია, ისაია, იერემია და ეზეკიელი. ხანდისხან მეფე იჯერებდა მათ სიტყვებს, მაგრამ ხშირათ გამოსცემდა ხოლმე ბრძანებას, სადაც ნათქვამი იყო: დაეპატიმრეთ, მოჭკალითო.

7) მესსია. უდიდებულესნი ებრაელთაგანნი დაპატიმრებული იყვენ ბაბილონში, სადაც დარჩენ 70 წელიწადს. ამ დროს აზიის მცირე რიცხოვანმა ხალხმა, სპარსელებმა, დააპირეს დიდ სამეფოს დაარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს; მათმა მეფემ კეიროსმა დაპყრო ბაბილონი, ებრაელებს მისცა ნება იერუსალიმში დაბრუნებისა და ტაძრის განახლებისა. ამ დროს ებრაელების ერი იყო მცირე რიცხოვანი და ღარიბი, მაგრამ ისინი ეტკიცებდენ, რომ ჩვენ ღვთისაგან არჩეული ერი ვართ და ღმერთი თუ ახლა გვსჯის ოდესმე მაინც შეგვირიგდება და მაშინ უფრო გაძლიერებს ებრაელთა ერს, ვინემ სოლომონის დროსაო. წინასწარმეტყველები ქადაგებდენ, რომ ღვთისაგან გამოგზავნილი და დავითის შთამომავლობიდან ნაშობი კაცი აღმაღლებს ებრაელებსაო. ებრაელებიც მოელოდენ ამ მეფეს, რომელსაც მესსიას უწოდებდენ.

8) დანგრევა იერუსალიმისა. ებრაელები გაძლიერების შემდეგ ლოდინში იყვენ 500 წელიწადს; ამ დროს იშვა ქრისტე. ებრაელებმა არ ინდომეს მისი მესსიად ცნობა და ქრისტეს დაბადების 34 წლის შემდეგ, როცა იესო მოვიდა იერუსალიმში, ებრაელების მღვდლებმა მას ჯვარ-ცმა გადაუწყიტეს. ამ დროს იუდის ქვეყანაში ბრძანებლობდენ რომაელები. 70 წლის შემდეგ ქრისტეს დაბადებიდან ებრაელები აუჯანყდენ რომაელებს. რომაელთა ჯარმა ალყა შემოარტყა იერუსალიმს, დაანგრია ქალაქი, დასწვა ტაძარი და ტყვეთ წაიყვანა ურიები, რომლებსაც ისე ჰყიდდენ, როგორც მონებს. ამ დროიდან აღარ არსებობს ებრაელთა სამეფო, მაგრამ ებრაელები ყოველგან არიან გაფანტულნი: გერმანიაში, საფრანგეთში, პოლონიაში, აფრიკაში, აზიაში და მტკიცეო იცავენ თავის ძველ სარწმუნოებას.

9) მნიშვნელობა ებრაელთა ერისა. თუმცა ებრაელთა ერი მცირე რიცხოვანი იყო, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ისტორიაში, მით რომ მას მხოლოთ ერთი ღმერთი სწამდა, სხვა ხალხები-კი თაყვანსა სცემდენ კერპებს. ქრისტეს სარწმუნოების საძირკველი ხომ პირველათ ებრაელთაგან არის ჩაყრილი.

6. შენგელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხევსურული ანდრეზები (ანდაზები).

(წარმოდგენილი დ. ბაგდიანშვილისაგან).

კაცი თუ ეკალთ არ გაებაო, ეკალნი არ გაებმიანო.

—

კაცი რო დაითვრებაო ორი კაცის ტოლა გაიზრდებაო.

—

კაი ყმის ნასადგომარსაო შემაი ბეერი დარჩებაო,
ცუდის ყმის ნასადგომარსაო ნაკარიც ალარ დარჩებაო.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

(წარმოდგენილი ვ. თუმანიშვილისაგან).

ხეზე ამოდის ჯვუფათა
მომწვანო ფოთლის მსგავსია,
თეთრი მძიესა მაგვარი
რალაც ნაყოფი ასხია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყინვა ვერაფერს ვერ აკლებს,
არცა ქარისგან გასცვევა,
იგი ფრინველთა საზრდოა
მისგან სუქდება ჩხართვია.

ა კ რ ო ს ტ ი ხ ი.

(წარმოდგენილი მ. ფალდაშვილისგან).

მოვიდა კვალად ცბერი,
არს დაცემული სულითა,
რაებს არ ჩადის წყეული,
ტყუილის სიხარულითა.
იცინის, ზოგჯერ პირქუშობს,
სულ ვერ ვენდობით გულითა,
თუმცა გვემუქრის ქარ ბუქით,
ეხვდებით ჩვენც შეშა ცულითა;
ერი ნიშნს უგებს, იმედობს
ამინდით, გაზაფხულითა.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი ს. ფაფერაშვილისგან).

პირველი იყო ასული,
მოღვაწე საქართველოში;
მისი სახელის მექონე
ბევრია ქართველ ქალებში.
მეორე საყვარელია
კაცის, თუ ქალის, ხნიერის;
სულ ერთათ — იყო სახელი
ქართველის — ნიჭით ძლიერის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ II გამოცანებისა.

გამოცანები: 1) ობობა, 2) წურბელა, 3) ქუდი.

უჯრების ამოცანა:

ქ	უ	რ	დ	ი	ს	შ
ე	მ	ნ	ა	ხ	ა	
ვ	ი	ქ	უ	რ		
დ	ხ	ე	უ			
ა	რ	ე				
ს	ი					
ა						

შარადა: ჭან—ჭური.

რებუსი: ეარდთა და ნეხვთა ეითარცა
მზე სწორეთ მოეფინების,
ღარიბ საწყალთ სამსახური,
შენამც ნუ მოგეწყინების.

გამოცანები, შარადა და რებუსი ახსნეს: თფილისის პირველ გიმნაზიის მოსამზადებელ განყოფილების მოსწავლემ ეანიცა შირაევმა, სათაად-ახნაურო სკოლის პირველ კლასის მოსწავლეებმა ვ. თუხარელმა და გიორგი მელითაურმა, გორის პროგიმნაზიის უფროსი განყოფილების მოსწავლე ქალმა თამრიკო წერეთელმა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თფილისში — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ნ. თუმ.-წერეთლისა.